„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განათლების უფლებები

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2008 წ. აპრილი * №16 * ფასი 70 თეთრი

ვინ გაძარცვა 9 აპრილს დაღუპული 16 წლის თამუნა ჯოველიძის მემორიალი?

გვ. 3

კოსოვო და მეტოხია - უსამართლობისა და სამართლიანობის ლაბირინთში

გვ. 15

გაიძვერა ხელისუფლება და „გათვარჩაებული“ ოპოზიცია

ლეილა ცომაია

პარლამენტარ ლევან გაჩეჩილაძის ლიდერობით წარმართული ოპოზიციურ პარტიათა მრავალათასიანი მიტინგები, იმთავითვე სისუსტის ნიშნით დაღდასმული და ოდენ, კრახისთვისაც განწირული იყო. საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიათა საპროტესტო გამოსვლების წარუმატებლობა სრულად განაპირობა, მათივე წიაღში, ხელოვნურად "გამოჩორკნილმა" ლიდერის ფაქტორმა და ოპოზიციურ ძალთა უპრინციპო, პროფანულმა პოლიტიკურმა სვლებმა.

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი 1 გვ. არ არსებობდა ბუნებრივად წარმოჩენილი ქარიზმატული ლიდერი, რომელიც მკვეთრად გამოხატული გამჭრიახობითა და მტკიცე, თანმიმდევრული ნაბიჯებით გამარჯვებამდე წარუძღვებოდა სამასათასიან მასას.

ბიზნესმენი გაჩეჩილაძე, რომელიც რამდენიმე მოწვევის პარლამენტარია, არ წარმოადგენდა ცნობად და პოპულარულ სახეს და მისი, ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალთა ლიდერად და ალტერნატიულ საპრეზიდენტო კანდიდატად წამოყენება, ამ ძალთა შორის არსებული ლიდერის კრიზისის საქვეყნოდ გამომჟღავნება იყო.

სააკაშვილის ხელისუფლებისადმი უკმაყოფილო ხალხის მასებმა, გაჩეჩილაძეს, მაინც დაუჭირა მხარი, რადგან, არამც და არამც არ სურდა სააკაშვილი და მისი ე.წ. ნაციონალების ხროვა. გარდა პოლიტიკური პროფანიზმისა, ოპოზიციური პარტიების ლიდერთა ქმედებებში, აგრეთვე მჟღავნდებოდა ფარული გარიგებები ხელისუფლებასთან, რისი აშკარა დემონსტრირება იყო 20 იანვარს, სააკაშვილის პრეზიდენტად ინაუგურაციის დღეს, ლევან გაჩეჩილაძისა და "ეროვნული საბჭოს" სხვა ლიდერების (ზვიად ძიძიგური, გია თორთლაძე, სალომე ზურაბიშვილი, გოგა ხაინდრავა, დავით უსუფაშვილი, დავით ბერძენიშვილი და სხვა.) მიერ საპროტესტო მიტინგის დანიშვნა პარლამენტის შენობიდან **საიმედოდ** შორს — ჰიპოდრომზე! დიახ და ისიც, არა 12 საათზე (როდესაც ტარდებოდა ინაგურაცია), არამედ... 2 საათზე, როდესაც საბოლოოდ დასრულდა ინაგურაცია.

ე.წ. საპროტესტო მიტინგი ჰიპოდრომზე კი, სადაც 200000-ზე მეტი ადამიანი მივიდა, გაჩეჩილაძემ 45 წუთში დაშალა ისე, რომ, წინა დღით გაცხადებული მანიფესტაცია სააკაძის მოედნამდეც კი, არ მოაწყო.

გაჩეჩილაძის საიდუმლო გარიგებები სააკაშვილ-ბურჯანაძესთან, ხალხს გაუგებარი არ დარჩენია და მათი ნაწილი ხმამაღლაც გამოხატავდა უკმაყოფილებას გაჩეჩილაძის მიმართ. საბოლოოდ, კი, ნდობაშერყეულმა ოპოზიციამ დაკარგა ხალხის მხარდაჭერა და ეს მკვეთრად აისახა 9-25 მარტის შიმშილობის აქციებზე, როდესაც პარლამენტის შენობის წინ კარვებში მოშიმშილე ოპოზიციას ყველაზე მეტად სჭირდებოდა, ხალხის თანადგომა.

ნუ ვიტყვით, რომ, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, ხალხმა განდგომით გაწირა ოპოზიცია.

არა, ნუ ვიქნებით ესოდენ მკაცრი! ხალხი ბრძენია და იგი მიხვდა, რომ ოპოზიცია არ იყო გულწრფელი პირველად რადიკალურ მოთხოვნებში (1. საქართველო პრეზიდენტის გარეშე; 2. სააკაშვილის გადადგომა; 3. საპრეზიდენტო არჩევნების გადასინჯვა — მეორე ტური), არამედ, მათი რადიკალიზმი, უბრალოდ, მოტივირებული იყო მოახლოვებული საპარლამენტო არჩევნებით და მათაც დიდად არ ანაღვლებდათ ხალხი. ასეთი ოპოზიცია ვერასოდეს მოვა საპარლამენტო უმრავლესობით და ხალხის საკეთილდღეოდაც არაფერი შეიცვლება.

ყველას კარგად გვახსოვს, გაერთიანებამდე, როგორ აბიაბურებ — ამათრახებდა სააკაშვილი ოპოზიციას, რომლებსაც "გაფარჩაკებულ-ჩარეცხილებად" მოიხსენიებდა. საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნის მოთხოვნით გამოსულ პოლიტიკურ ოპონენტებს, გაიძვერა სააკაშვილმა, საპრეზიდენტო არჩევნების ერთი წლით გადმოწევა და 5 იანვარს ჩატარება შესთავაზა, რაზეც იოლად წამოეგო ამბიციური ოპოზიცია. სააკაშვილის მხრიდან ეს იყო გრძელვადიანი პოლიტიკური სვლა გარანტირებულ გამარჯვებაზე გათვლილი, ყველა სახელისუფლო ბერკეტების საკუთარ ხელში ფლობის პირობებში. ეს მარტივად პროგნოზირებადი პოლიტიკური სვლაც კი ვერ გათვალა ოპოზიციამ. იგი, არამც და არამც არ უნდა დათანხმებულიყო საპრეზიდენტო არჩევნების საპარლამენტო არჩევნებით წინმსწრებად ჩანაცვლებას. ოპოზიციას ჯერ უნდა ებრძოლა საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით გამარჯვებისთვის, რითაც სახელისუფლებო ბერკეტებს საკუთარ ხელში აიღებდა და შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებშიც უფრო რეალური გახდებოდა ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვება. თვითდაჯერებულმა ოპოზიციამ, მიტინგებზე, რკინის ღობე შემოივლო და კონსულტაციის მისაცემად არავის იკარებდნენ, ზედაც არავის უყურებდნენ და არც ტელეფონით უსმენდნენ ვინმეს.

ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა შორის ცალკე უნდა გამოვყოთ გია მაისაშვილის ფიგურა, რომელიც 2003 წელს დაბრუნდა ემიგრაციიდან, საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა და 5 იანვრის არჩევნებში, თავი პრეზიდენტობის კანდიდატადაც წამოაყენა. მიუხედავა იმისა, რომ მისმა საპრეზიდენტო ამბიციამ სრული ფიასკო განიცადა (მან ხმათა 1%-იც კი ვერ მოაგროვა), მაინც მიგვაჩნია, რომ მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოავლინოს თავისი უნარი საქართველოს პოლიტიკური (ვგულისხმობთ რუსეთთან ურთიერთობას, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას) და ეკონომიკური კრიზისების დაძლევის საკიხებში, რისთვისაც საჭიროა მისი აღზევება პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, ან, სულ ცოტა — გახდეს პარლამენტარი.

ასევე ვთვლით, რომ პარლამენტში მოსვლის შესაძლებლობა აუცილებლად უნდა მივცეთ ახალ პოლიტიკურ ძალებს: კონსტანტინე გამსახურდიას, კახაბერ შარტავას, პაატა დავითაიას, გელა გაჩეჩილაძეს, ეკა ბესელიას და სხვებს, რისთვისაც ასევე უცილობლად საჭიროა მათ (თავისი პარტიებით) დამოუკიდებლად იყარონ კენჭი. სხვაგვარად, ამომრჩეველი ვერ გათავისუფლდება იმ პოლიტიკურ ძალთა ბალასტისაგან, რომელთა მეორედ და მესამედ არჩევა აღარ სურს პარლამენტში.

ანუ, პოლიტიკურ ძალთა ერთიანობა იდეალური ვარიანტია, რეალურად კი, მასში, როგორც აპრიორი, დევს ნელი მოქმედების ნაღმი, რომელიც ეტაპობრივად ფეთქდება და მიზანმიმართულად ანგრევს "ერთიანობის" ხუხულას. რამეთუ, იქმნება არა იდეური (მაშასადამე წრფელი, პატრიოტული), არამედ, ფიზიკურ პოლიტიკურ ძალთა ერთობა, რომელთა მიმართ საზოგადოდ არსებობს ნდობის პრობლემა, რაც კრიზისულ რისკ-ფაქტორს ქმნის.

ასეთ ვიტარებაში, სუხა-საბას იგავი ერთიანობის ეფექტის შესახებ არ წაგვადგება და დემაგოგიურ ჟღერადობას იძენს. ნიშანდობლივია, რომ ერთიანობის მოთხოვნით დღეს, ყველაზე აქტიურად, თავად არასანდო პოლიტიკური ძალები აპელირებენ. მათ კი ლობირებენ საეჭვო სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები, თუ დაინტერესებულ პირთა წრეები, რათა, როგორმე, საიმედო ორთქლმავალს შეაბან არასაიმედო ვაგონები (პოლიტიკური ორგანიზაციების სახით), ვინძლო, პარლამენტში არ შეიქმნას მათთვის არასასრუველი უმრავლესობა.

ჩვენ კი, იმისათვის, რომ ავიცილოთ კრიზისი და კატასტროფა, უნდა წამოვაყენოთ არა ბლოკური, არამედ დიფერენცირებული (პარტიების ცალ-ცალკე) კენჭისყრის მოთხოვნა, რათა მოგვეცეს თავისუფალი არჩევანის საშუალება, რაც უკეთესი მომავლის გარანტად იქცევა. ამასთანავე, საქვეყნოდ გამჭვირვალე გახდება რა თითოეული პოლიტიკური ლიდერის რეიტინგი. შეწყდება პარტიების სოკოებივით წარმოქმნის ნეგატიური პროცესიც.

ვინ გაძარცვა 9 აპრილს დაღუპული 16 წლის თამუნა ჭოველიძის მემორიალი?

(ინტერვიუ **არკადი ჭოველიძესთან**)

— ბატონო არკადი, თქვენ, წლების განმავლობაში ბრძანდებოდით კუკიის სასაფლაოს დირექტორი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდეთ ხსენებულ სასაფლაოს მოვლა-პატრონობას. თქვენ, კუკიის სასაფლაოზე სხვადასხვა დროს დაკრძალული ცნობილი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწენი ცენტრალურ ნაწილში გადმოასვენეთ და გაუკეთეთ პანთეონი, რომელიც მწვანე ნარგავებით და მარმარილოს შადრევნით დაამშვენეთ. თქვენ, აგრეთვე რესტავრაცია გაუკეთეთ მე-19 საუკუნიდან კუკიაზე აშენებულ წმინდა ნინოს ეკლესიას, რომელზეც ნინოს ჯვარი და ქართული გუმბათი აღმართეთ. ამ ეკლესიაშია დაკრძალული 9 აპრილს დაღუპული თქვენი შვილი თამუნა ჭოველიძე. ასეთი ღვაწლმოსილი პიროვნება უცერემონიოდ გამოგაბრძანეს თქვენი სამსახურიდან.

— დიახ,მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა, რომელმაც იქ თავიანთი შვილები დანიშნეს დირექტორებად. არადა კუკიის სასაფლაოს მთელი შენობა-ნეგებობები ჩემი პირადი ხარჯებით ავაშენე. გული იმაზე მწყდება, რომ, სადაც თამრიკოს პანაშვიდს ვიხდიდი, იქ ეხლა თავიანთი ცოცხალი შვილების დაბადების დღეებს იხდიან, რითაც ფასეულობების დევალვაციას ახდენენ. მარტო მე კი არ გამანთავისუფლეს სამსახურიდან, არამედ ყველა სასაფლაოს დირექტორები და იქ ახალ დირექტორებად თავიანთი ნათესავები დანიშნეს. ვშიშობ მე და ჩემი მეუღლის, თამუნას დედის ლია ჭოველიძის მიერ რუდუნებით შექმნილი პანთეონი არ გაქრეს, სადაც ჩვენ ერთმანეთის გვერდით დავკრძალეთ: შიო ჩიტაძე, აქვსენტი ცაგარელი, ლადო აღნიაშვილი, ია ეკალაძე, მედეა ფანიაშვილი და სხვები. თუმცა მე თვალ-ყურს ვადევნებ კუკიის პანთეონს და ჩემს სიცოცხლეში იმ მოშლის საშუალებას ნამდვილად არავის მივცემ.

კუკიის პანთეონი

— სასიამოვნოა, რომ ასეთ გარანტად უდგებით იქ დაკრძალულ ცნობილ პიროვნებებს. მაინც რა მოტივით გაგათავისუფლეს, რა პრეტენზიები წაგიყენეს ახალმა ხელმძღვანელებმა.

— არავითარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ, ჩვენი სამმართველოს — „თერმესის“ — ახალ ხელმძღვანელობას კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდი დაკრძალვის ფასების გაზრდაში. მაგალითად, 93 ლარი ღირდა ზემოდან დაკრძალვა და ახალმა ხელმძღვანელობამ 500 ლარამდე გაზარდა. ისე, რომ არც მესაფლავეებს მოუმატეს ხელფასი, არც ტექნიკური საშუალებებით შეუმსუბუქებიათ მათი შრომა და არც სასაფლაოს კეთილმოწყობისათვის გამოუყვიათ რაიმე თანხები.

— ზემოდან დაკრძალვა რას ნიშნავს?

— აი, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, რომ გადაასვენო ამოთხრა ღირს 93 ლარი და დაკრძალვა 500 ლარი. ან, უბრალოდ, გინდა შენი ბაბუის საფლავში დაკრძალო შენი ახალი მიცვალებული, ამ შემთხვევაში 93 ლარის გარდა დამატებით 500 ლარი უნდა გადაიხადო, რაც ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვებოდა.

— ეხლა, თუ არ ვცდები, სააკაშვილის ინიციატივით მსგავსი კაბალური ნიხრები შეიცვალა.

— ეხლა ჰო, მაგრამ რამოდენიმე თვის წინ ასე იყო და არც ეხლაა იაფი. ახლა სასაფლაოს დირექტორებს ორი ათას ლარამდე აქვთ ხელფასი, მაშინ, როცა ჩვენ სამას ლარამდე ძლივს გვქონდა. თვითნებურად გაზარდეს დაკრძალვის ხარჯები და გაიზარდეს ხელფასები მოსახლეობის ხარჯზე, რაც მე დიდ უსინდისობად მიმაჩნია.

— ბატონო არკადი, თქვენ ბრძანდებით საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შეწირული 16 წლის თამუნა ჭოველიძის მამა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია იმ მღელვარე დღეებში თქვენ საქართველოში არ ბრძანდებოდით, სად შეიტყვეთ თამრიკოს დაღუპვა და როდის ჩამობრძანდით საქართველოში?

— მე სამოგზაურო ტურნეთი ვიმყოფებოდი საზღვარგარეთ და საქართველოში 12 აპრილს ჩამოვედი. ჩემთვის ეს თავზარდამცემი ტრაგედია იყო. გულში უკმარისობის გრძნობა მაქვს — 9 აპრილის გმირები დღემდე სათანადოდ არ არიან დაფასებულნი, ის კი არა, დღეს აშკარაა მცდელობა მიივიწყონ და ისტორიიდან 9 აპრილი ამოაგდონ. მომავალ თაობებს აღარაფერი ასწავლონ ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ თარიღზე. გული მწყდება. არადა თამრიკოს სრულად ჰქონდა გათვითცნობიერებული თავისი ნაბიჯები დამოუკიდებლობისაკენ. მე და ჩემი მეუღლე ლია მას, პატარაობიდანვე პატრიოტად ვზრდიდით. იგი 51-ე სკოლის ფრიადოსანი, წარჩინებული მოსწავლე იყო. მას აღაფრთოვანებდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პატრიოტული გამოსვლები და პოლიტიკური ბრძოლები, ყოველთვის მიისწრაფვოდა მათ მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე და ყოველთვის ცდილობდა მათთან ახლოს მდგარიყო. მე რომ თბილისში ვყოფილიყავი, მეც იქ ვიქნებოდი და ჩემს შვილთან ერთად ან გადავრჩებოდი, ან დავიღუპებოდი. მიმაჩნია, რომ ვინც 9 აპრილს დაიღუპა, ყველანი ზვიად გამსხურდიასა და მერაბ კოსტავას იდეური შვილები იყვნენ. ეს ზვიადმა და მერაბმა გახადეს ისინი პატრიოტებად და ეროვნულ გმირებად.

— თქვენ პირადად იცნობდით ზვიადს და მერაბს?

— პირადად არა, მაგრამ დიდ პატივს ვცემდი მათ. როდესაც 9 აპრილის შემდგომ ზვიადი და მერაბი ციხიდან გამოვიდნენ, თამრიკოს საფლავზე მოვიდნენ, მერაბმა დაიჩოქა თამრიკოს საფლავთან და ასეთი რამ უთხრა: „თამრიკო, ჩვენი გზები ძალიან მალე გადაკვეთავს ერთმანეთს და ჩვენი სულები შეერთდებიანო". ამ საუბარს ესწრებოდნენ „9 აპრილის საზოგადოების" მაშინდელი ერთ-ერთი თავმჯდომარე თამრიკო ქადაგიძე და ბატონი კულუმბეგაშვილი ეროვნული მოძრაობიდან. დიახ, ეს მერაბის მხრიდან წინასწარმეტყველური სიტყვები იყო. ეს წინასწარმეტყველება, ძალიან მალე, რამდენიმე თვეში ახდა, იმავე წლის 13 ოქტომბერს მერაბ კოსტავაც დაიღუპა. მე მჯერა, რომ მათი სულები შეხვდნენ ზეციურ საქართველოში, ალბათ ნიშანდობლივია ისიც, რომ მერაბ კოსტავასა და თამრიკოს ქუჩები თბილისის ცენტრში კვეთენ ერთმანეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი სულები და გზებიც შეერთდნენ.

— დიახ, უნდა ვივარაუდოთ, საგულისხმოა, რომ მერებმა ციხეში, რაღაც წინასწარმეტყველური სიზმარი ნახა, რაც თამრიკოს საფლავთან გაახმოვანა.

— ამ ბოლო დროს, განსკუთრებით, ხშირად მოისმენთ ინფორმაციას, რომ ამა თუ იმ ცნობილი პიროვნების მემორიალური დაფა გაძარცვეს ან ბიუსტი მოიპარეს. უკვე წელიწადზე მეტია გაძარცვულია ჩემი შვილის თამუნა ჭოველიძის მემორიალი გამომცემლობა „სამშობლოს" კედელზე, საიდანაც მისი წლოვანების სიმბოლო 16 ბრინჯაოს მერცხალი მოიპარეს და ყურადღებას არავინ აქცევს. ყოველგვარი რეაგირების გარეშეა დარჩენილი ეს მკრეხელური დანაშაული. აი, ასეა, დაფასებული თამუნა ჭოველიძე და თუნდაც მისი თანამებრძოლებიც ჩვენი ხელისუფლებისაგან თამრიკოს სახელობის ქუჩა და მემორიალიც ხომ ცენტრალურ ადგილასაა და ეს ქურდობა შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა, მაგრამ ვინაა პასუხის მომთხოვნი?

— დიახ, ასეთი მკრეხელური დანაშაულებები ჩვენს დღევანდელობაში, სამწუხაროდ ხშირია. ბატონო არკადი, საზოგადოებას აინტერესებს, როგორ ცხოვრობთ, როგორ უყურებთ მომავალს.

— ვცხოვრობ ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს შვილმკვდარი მამა — გულმოკლული, მაგრამ მაინც ამაყი და ქედმოუხრელი.

— გამძლეობას გისურვებთ.

— გმადლობთ.

ესაუბრა
ქეთევან ჭანტურია

9 აპრილის მსხვერპლთა ჯალათები:



მიხეილ გორბაჩოვი
(სკკპ ცკ-ს გენერალური მდივანი)



იგორ როდიონოვი
(სსრკ გენრალ-პოლკოვნიკი, ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტი).

ედუარდ შევარდნაძე
(სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი)

ჯუმბერ პატიაშვილი
(საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მდივანი)

გივი გუმბარიძე
(საქართველოს სსრ-ს უშიშროების მინისტრი

9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მთავრობის სასახლესთან მიმდინარე საპროტესტო შიმშილობის აქციის დროს, საბჭოთა საოკუპაციო ჯარის სპეციალურმა დანაყოფებმა საბრძოლო ნიჩბებითა და მომწამლავი ქიმიური გაზებით მთავრობის სასახლის წინ დახოცეს: ***მანანა მელქაძე, მარინა ჭყონია-სამარგულიანი, აზა ადამია, მანანა ლოლაძე, თამუნა დოლიძე, ნოდარ ჯანგირაშვილი, ელისო ჭიპაშვილი, თამარ მამულაშვილი, ზაირა კიკვიძე, ნათია ბაშალეიშვილი, მამუკა ნოზაძე, ნატო გიორგაძე, ნანა სამარგულიანი, ეკა ბეჟანიშვილი, თამუნა ჭოველიძე, თინა ენუქიძე, მზია ჭინჭარაძე, შალვა ქვასროლიაშვილი, ნინო თოიძე, ვენერა მეტრეველი,*** *ხოლო კომენდანტის საათის მოქმედების დროს მოკლეს* ***გია ქარსელაძე****, რომელიც გვიან ღამით რაიონიდან ბრუნდებოდა შინ და არ ჰქონდა ინფორმაცია კომენდატის საათის მოქმედების შესახებ.*

დავიცვათ სიმშვიდე და გამოვიჩინოთ თავშეკავება
(არქივის მასალა კომენტარის გარეშე)

10 აპრილს თბილისის დიმიტროვის სახელობის საწარმოო საავიაციო გაერთიანებაში გაიმართა ამხანაგ ე.ა. შევარდნაძისა და გ. პ. რაზუმოვსკის შეხვედრა საწარმოო აქტივთან. შეხვედრაში მონაწილეობდა ამხანაგი ჯ. ი. პატიაშვილი

საქართველოში არ დარჩენილა კაცი, ითქვა შეხვედრაზე, რომელიც შეძრწუნებული არ იყო რესპუბლიკის მთავრობის სახლთან 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიით. ყველას ჩვენ, თითეულ ჩვენგანს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც მოხდა. იგი უნდა გაიზიარონ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამაც და რექტორებმაც, მუშათა კლასის წარმომადგენლებმა, საშუალო სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა და ხელმძღვანელებმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, მეცნიერი და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. **ცხადია, პასუხი უნდა აგონ, წამქეზებლებმაც, იმათ ვინც ახალგაზრდობას უბიძგა ანტისაზოგადოებრივი საქციელისაკენ, ვინც აშკარად ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური, ანტისახელმწიფოებრივი ლოზუნგი წამოაყენა. რად ღირს, თუნდაც, დროებითი მთავრობის შექმნის ცდები?** (ხაზგასმა ჩვენია - ,,განმათავი სუფლებლის"რედ.).



დიმიტრი გვასალიას პლაკატი

როგორც ცნობილია, შეიქმნა მთავრობის კომისია ამ დღესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გამოსარკვევად. მოსახლეობისთვის პატიოსანი და გულახდილი ინფორმაციის მოწოდება მომხდარის შესახებ, ოპერატიული და საჯარო გამოძიება სამართლიანობის აღდგენის, რესპუბლიკის დედაქალაქში მდგომარეობის სტაბილიზაციის ერთ-ერთი უპირველესი გზაა. საჭიროა ყოველივე იმის ღრმა მიუდგომელი პოლიტიკური ანალიზი, რაც მოხდა. აქ მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კერძოდ, ტელევიზიას — მთავარ იარაღს ყოველგვარი ჭორებისა და მონაჩმახის გავრცელების წინააღმდეგ.

დღეს განსაკუთრებით საჭიროა დავიცვათ სიმშვიდე და გამოვიჩინოთ თავშეკავება, არ ავყვეთ ემოციებს, რომელთა გაკიცხვის უფლება, ცხადია, არავის არა აქვს. ინიციატივა აქ უნდა ეკუთვნოდეს მუშათა კლასს. საიდუმლო არ არის, რომ ქალაქში ჯერ კიდევ იგრძნობა დაძაბულობა, ზოგან ხელოვნურად ძაბავენ ვითარებას, გაისმის წამქეზებლური მოწოდებები, მდგომარეობის ერთგვარი სტაბილიზაციის, წარმოების რიტმის გაუმჯობესების მიუხედავად, არის სამუშაოზე გამოუსვლელობის შემთხვევები ავიამშენებელთა კოლექტივშიც.

შეხვედრაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ თბილისის მუშათა კოლექტივების, მთელი რესპუბლიკის შეგნებული საზოგადოებრიობის ძალებით შეიძლება ისეთი წესრიგი დავამყაროთ საწარმოში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ქუჩებში, რომ უკვე უახლოეს ხანს აღარ იყოს საჭირო კომენდანტის საათი, საგანგებო ღონისძიებანი. მხოლოდ მშვიდ ვითარებაში შეიძლება ვეძიოთ კრიზისის დაძლევის გზები. გაერთიანების კოლექტივმა მოუწოდა რესპუბლიკის ყველა მუშას მხარი დაუჭირონ ამ პროგრამას, პრაქტიკულად შეუდგნენ მის განხორციელებას.

„კომუნისტი“. 12.IV.1989.

კონფლიქტი აფხაზეთში, ანუ როგორ ხორციელდება „თანამშრომლობა კავკასიის საკეთილდღეოდ“

პროფ.
ტარიელ ფუტკარაძე

შეიარაღებული კონფლიქტი სასიკეთოდ მაშინაა ტრანსფორმირებული, როცა „ომის უარყოფითი ენერგია“ წარიმართება „პოზიტიური სოციალ-პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად“... მხარეებს შორის კონფლიქტი გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სწორად მოხდება: დაპირისპირების მიზეზების სიღრმისეული ანალიზი, მხარეთა განსაზღვრა, დაპირისპირების არსში გარკვევა, კონფლიქტის კვალიფიკაცია... და ამ ყოველივეს გათვალისწინებით დაიგეგმება: კონსტრუქციული დიალოგი, ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაცხოვრების მშენებლობა...

სამწუხაროდ, ზოგი უცხოელი პარტნიორი უსაფუძვლოდ თვლის, რომ მათ გამორკვეული აქვთ აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზები და ნაპოვნი აქვთ გადაჭრის გზებიც...

ვფიქრობთ, საქართველოს უბედურებაზე მათ, ან სასურველი ოაზისი მოიწყვეს, ან იმთავითვე შეცდომებით იარეს და ჩვენ გაგვწირეს...

1994 წელს ლონდონში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსები“ („ჩონცილატიონ რესოურცეს“) 1997 წლიდან ახორციელებს „კავკასიურ პროგრამას“ (დირექტორი ჟონატან კოჰენ); საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, ლონდონური ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლების უცხოელი პარტნიორია საქართველოს რეგიონებში (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი) არსებული კონფლიქტების გადაჭრის მიმართულებით...

ეს ორგანიზაცია საქართველოში აქტიურად თანამშრომლობს სოროსის ფონდის წარმომადგენლობასთან (კახა ლომაია, დავით დარჩიაშვილი...), დანიის ლტოლვილთა საბჭოსთან, შვეიცარიის საელჩოსთან, ჰაინრიხ ბიოლის ფონდთან და სხვ. საქართველოში მისი აქტიური თანამშრომლები იყვნენ და არიან: პაატა ზაქარეიშვილი, გოგა ხაინდრავა, გია ნოდია... პოლიტიკურ გაერთიანებათაგან „შერიგების რესურსების“ ძირითადი პარტნიორია რესპუბლიკური პარტია. ე.წ. აკადემიური წრეების წარმომადგენელთაგან „ჩონცილატიონ რესოურცეს“-ისა და სოროსის ფონდის რჩეული (მათგან არაერთგზის დაფინანსებული) ავტორები არიან: გიგი თევზაძე, ნოდარ ლადარია, მანანა დარჯანია (ჟურნალ „პოსტ ფაქტუმის“ რედაქტორი) და სხვ..

საინტერესოა ისიც, რომ „ჩონცილატიონ რესოურცეს“-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სამეცნიერო-სახელმძღვანელო ლიტერატურის სიაში (ჰტტპ://წწწ.ც-რ.ორგ/ოურ-წორკ/აცცორდ/გეორგია-აბკჰაზია/რუსსიან/ბიბლიო.პჰპ) წამყვანი ადგილი უჭირავს ლონდონის უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა პროფესორის ჯორჯ ჰიუიტის ნაშრომებს.

პირველ რიგში მოკლედ გაგაცნობთ, სწორედ ლონდონელი პროფესორის „კავკასიური პროექტის“ ძირითად თეზისებს (აქ განვიხილავთ დასავლეთ საქართველოს ეპიზოდს _ ტ.ფ.) :

კონფლიქტის არსი:

ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული კონფლიქტი ეთნოკულტურული ხასიათისაა: ქართველთა აგრესიის პირობებში აფხაზი ერი კრემლის თანადგომით ინარჩუნებენ თავის იდენტობას... მეოცე საუკუნემდე, არც მეგრელები ითვლებოდნენ ქართველებად; „ძველთაგანვე მეგრულ ენაზე მეტყველი ხალხი ქართველებად მოინათლა საბჭოთა პერიოდში“...

კონფლიქტის გადაჭრის ჯ. ჰიუიტისეული სტრატეგია:

1. ქართველები უნდა განთავისუფლდნენ „ნაციონალიზმისგან“ და უნდა აღიარონ თავიანთი შეცდომები;

2. აფხაზებს ქართველებისგან ფიზიკურად განადგურების საფრთხე აღარ დაემუქრებათ, თუკი საქართველოსა და აფხაზეთს შორის ჩამოყალიბდება სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი: ეს პროცესი უნდა დაიწყოს მეგრულის, როგორც მეგრელთა სალიტერატურო და კულტურის ენის, აღიარებით; „მეგრელებმაც უნდა დაიცვან თავიანთი უფლებები“; „მეგრელებმა არ უნდა გაიზიარონ ქართველების კულტურული მემკვიდრეობა და უნდა განავითარონ თავიანთი თვითმყოფადი ენა და კულტურა“... ამ „ისტორიული შეცდომის გამოსწორებამ გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საყოველთაოდ სასურველი გამოსწორება მოიტანოს...“

3. უნდა შეიქმნას კავკასიის კონფედერაცია (რომლის სუბიექტებადაც ივარაუდება: აფხაზეთი, სამეგრელო, საქართველო, აზერბაიჯანი, ყარაბახი, სომხეთი, სამხრეთ ოსეთი...).

სრული პასუხიმგებლობით ვამბობთ: პროფ. ჯ. ჰიუიტის მიერ გაცხადებული წარმოდგენილი გეგმა გარკვეული ჯგუფების მიერ საქართველოში ხორციელდება ბოლო 10 წელიწადის განმავლობაში; ამ პროცესის ერთ-ერთი დონორი და სულისჩამდგმელი უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციაა ლონდონური „ჩონცილატიონ რესოურცეს“ (თავისი დიდი თუ მცირე პარტნიორებით)...

წარმოვადგენთ მხოლოდ ფაქტებს კონფლიქტის არსის შესახებ:

“შერიგების რესურსების“ მიერაც აფხაზეთში არსებული კონფლიქტის საფუძვლად მიჩნეულია ეთნიკური დაპირისპირება ქართველთა და აფხაზთა შორის; „ჩონცილატიონ რესოურცეს“-ის ვებგვერდზე აფხაზეთის რეგიონში არსებული კონფლიქტი სახელდებულია, როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტი... მასალებიდან ჩანს, აგრეთვე, რომ ომის დამწყებად მიჩნეულია ქართული მხარე (ჰტტპ://წწწ.ც-რ.ორგ/ოურ-წორკ/ცაუცასუს/ინდეხ.პჰპ).

არადა, ყველასთვის ცნობილია, რომ შავი ზღვის სანაპიროს ხელში ჩაგდების მიზნით რუსეთის იმპერია დიდი ხანია ცდილობს საქართველოს ამ მხარის მოსახლეობის გადაბირებას, ან გენოციდს...

შდრ.: მეფის რუსეთმა აფხაზთა დიდ ნაწილს აიძულა, გადასახლებულიყო თურქეთში (მუჰაჯირობა), მეორე ნაწილი სათავისოდ აღზარდა საბჭოთა პერიოდში, მესამე ნაწილი კი დღეს აფხაზეთიდან დევნილია აფხაზეთის მკვიდრ ქართველთა მსგავსად...

მაშასადამე: აფხაზეთის კონფლიქტის არსი: საქართველო იგერიებს რუსეთის აგრესიას...

კონფლიქტის გადაჭრის „ჰიუიტისეული“ სტრატეგია კარგად ჩანს „ჩონცილატიონ რესოურცეს“-ის (და მისი პარტნიორების) მიერ განხორციელებული პროექტებიდან:

გარკვეული ჯგუფების მიერ ქართველური ტრადიციული ღირებულებებისადმი ნიჰილიზმის სისტემური „დანერგვა“ ცალკე მსჯელობის თემაა; ამჟამინდელი სტატიის თემის კონტექსტში არსებითია _ ზემოთ დასახელებული უცხოური ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული კამპანია: „ჰათამზაიტ“ („ბოდიში“), რომელიც გულისხმობს ქართველების მიერ აფხაზების წინაშე დანაშაულის აღიარებასა და ბოდიშის მოხდას... ამ თემას გახმაურებული სპექტაკლიც კი („ბამბაზიის სამოთხე“) მიეძღვნა...

“ჰათამზაიტის“ და სპექტაკლის ავტორებმა, რატომღაც ჩათვალეს, რომ მხოლოდ აფხაზს აქვს უფლება, ქართველისგან მოითხოვოს ბოდიში...

არადა, ქართველებიც და აფხაზებიც შეიწირა მთავარმა მოქმედმა პირმა _ რუსეთის იმპერიულმა ინტერესმა. ეს იმპერია 100 წლის მანძილზე ამზადებდა ამ კონფლიქტს. ბოლო ეტაპზე იმპერიისგან აღზრდილ და მართულ პირებს წარმოადგენდნენ ვ. არძინბა და ე. შევარდნაძე (რუსეთის იმპერიამ ამ უკანასკნელთა დახმარებით შეიყვანა სისხლიან ჩიხში აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობა)...

რაც შეეხება „პატიებას“: თანაცხოვრების მანძილზე ძმებსა და მეზობლებს შორის კინკლაობა ჩვეულებრივი ადამიანური მოვლენაა; სისხლისღვრა კი გაუმართლებელია: აფხაზების იმ ნაწილს, რომელიც ვ. არძინბას რეჟიმის გავლენის ქვეშ მოექცა, და ქართველების იმ ნაწილს, ვინც შევარდნაძის გვერდით იყო, მართლაც აქვთ საპატიებელი ერთმანეთისთვისაც და ზოგადად, ქართველი და აფხაზი ხალხებისთვის... ქართველები და აფხაზები მრავალი საუკუნის მანძილზე ერთად ვიბრძოდით კავკასიის დაპყრობის მოსურნეთა წინააღმდეგ და მომავალშიც შევძლებთ მშვიდობიან თანაცხოვრებას...

ჩვენ, არც დღეს ვართ ერთმანეთის მტრები; ახლა მთავარია, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და დიპლომატიური „ვალდებულებებისგან“ თავისუფალმა ადამიანებმა (არასამთავრობო ორგანიზაციებმა!) მაინც პატიოსნად განვსაზღროთ არსებული კონფლიქტის მხარეები: საქართველო და რუსეთი.

ჯ. ჰიუიტისა და ზოგი რუსი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, „ჩონცილატიონ რესოურცეს“-ისა და მისი ქართველი პარტნიორების მიერ ჯერჯერობით არ არის ღია საუბარი საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ 10 წელია აქტიურად განიხილება ე.წ. ასიმეტრიული ფედერაციის საკითხი; გარდა ამისა, სხვადასხვა სახის შეხვედრებზე რესპუბლიკური პარტიის წევრებისგან არაერთხელ დაისვა აფხაზეთის აღიარებისა და მეგრული (და სვანური) ენის უფლებების დაცვის საკითხები...

გაგრძელება მე-6 გვ.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (#15), მე-20 გვერდზე განთავსებულ პუბლიკაციაში, „მეცხრე საავადმყოფოსთვის ბრძოლა ახალ ფაზაში შედის“ **ქ-6 მანანა ადეიშვილთან** ინტერვიუში გაიპარა კორექტურა _ „ექიმ-ქისტოლოგის“ ნაცვლად უნდა ეწეროს _ „ექიმ-ჰისტოლოგი“.

დასაწყისი წინა გვერდზე

შემთხვევითი არ არის არც ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში უცხოელთა დაფინანსებით შეიქმნა და გავრცელდა სახელმძღვანელოები: „ლაზური დედაენა“, „მეგრული დედაენა“; ზემოთ დასახელებული ფონდების აქტიურობით ასევე რამდენიმეგზის გამოქვეყნდა გამოკვლევები: „მეგრული ენა“, „ლაზური ენა“, „სვანური ენა“... ქართულ-მეგრული, ქართულ-სვანური სალექსიკონო მასალები, სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ეს ლექსიკონები, მაგ., რუსულ-ქართული, თუ გერმანულ-ჩინური ლექსიკონებივით, ორენოვანი ლექსიკონებია...

“ჩონცილატიონ რესოურცეს“-ისა და სოროსის ფონდის კონცეპტუალურ კალაპოტშია ბოლო წლების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგრანტო „წესრიგი“, სასკოლო სახელმძღვანელოების მეთოდოლოგია და საკადრო პოლიტიკა; მაგ., თანამდებობებზე ისეთი პირები დაინიშნენ, რომლებიც მხარს უჭერენ: საქართველოს ფედერაციულ მოწყობას (გ.ხუბუა...), მეგრულის დამოუკიდებელ ენად აღიარებას (კახა გაბუნია, ლალი ეზუგბაია...)... საყურადრებოა ისიც, რომ მეგრული და სვანური „ენების“ (სინამდვილეში ქართული ენის დიალექტური სახესხვაობების!) უფლებების შესახებ ალაპარაკდა სოზარ სუბარიც.

საბედნიეროდ, ჯერჯერობით, პოსტ(საბჭოთა)“რევოლუციური“ დროისგან განსხვავებით, თანამედროვე ოფიციალურ წრეებში ღია მხარდამჭერი არ გამოუჩნდა ე.წ. „მეგრულენოვან მასმედიას“; თუმცა მეგრულ“ენოვან“ გაზეთ „გალს“ და გალის „მეგრულენოვან“ რადიოს აფხაზეთის დე ფაქტო მმართველებთან ერთად დიდი ხანია კურატორობს პროფ. ჯ. ჰიუიტი; გალის ე.წ. მეგრულენოვანი ტელევიზიის ერთ-ერთ ლობისტად კი ოფიციალურად ითვლება „ჩონცილატიონ რესოურცეს“-ის კავკასიური ბიუროს ხელმძღვანელი ჯონათან კოენი...

აქვე აღვნიშნავ, რომ 2005 წელს განათლების სამინისტრომ პრეზენტაცია მოუწყო ი.გიპერტისა და ჯ. ჰიუიტის კოორდინატორობით შქმნილ პროექტს. ამ მრავალათასიანი პროექტის ფარგლებში შექმნილი ე.წ. „კითხვარით“ წარუმატებელი პროვოცირება მოუწყვეს საქართველოს მესაძირკვლე ორი კუთხის ქართველობას; შდრ. მათი ქართველი თანამშრომლების მიერ „შემუშავებული“ კითხვები:

_ რა ენაზე გინდათ, რომ განათლება მიიღონ თქვენმა შვილებმა? (მეგრულ-ლაზურ, ქართულ, სვანურ თუ სხვა)? რატომ?

_ რომელ ენაზე ლოცულობთ ეკლესიაში (მეგრულ-ლაზურ, ქართულ, სვანურ თუ სხვა)?

_ საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა სატელევიზიო გადაცემები მეგრულ-ლაზურ/სვანურ ენებზე?

_ საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა რადიოგადაცემები მეგრულ-ლაზურ/სვანურ ენაზე?

_ საჭიროდ თვლით თუ არა, რომ პრესა გამოდიოდეს მეგრულ-ლაზურ/სვანურ ენაზე? თუ არა, რატომ?

რთული არაა იმის მიხვედრა, რომ ეს კითხვები აშკარად ეხმაურება ჯ. ჰიუიტის მიერ ზემოთ წარმოდგენილი პროექტის ერთ-ერთ მონაკვეთს (იხ., მე-6 სქოლიო).

ვფიქრობ, არსებითია აქვე ითქვას ისიც, რომ „ჩონცილატიონ რესოურცეს“-ის ვებგვერდზე ყოველთვის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მოიაზრება აფხაზეთი და საქართველო; მოვიყვან მხოლოდ ერთ ციტატას; „В нашем проекте аудиодневников участвуют 20 радиостансий и более 40 журналистов из Абхазии, Азербайджана, Армении, Грузии, Нагорного Карабаха и Южной Осетей...“ (Http://www.c-r.org/russian/indexs.php).

ამ ციტატიდანვე ჩანს, თუ „ჩონცილატიონ რესოურცეს“-ს ამ ეტაპზე როგორ აქვს მოწოდებული ჰიუიტისეული „კავკასიის კონფედერაციის“ კონფიგურაცია... საქართველოს ასიმეტრიული ფედერაციის სტრუქტურის „დადგენის“ შემთხვევაში (ღმერთმა ნუ ქნას ამ მზაკვრობის განხორციელება!) კი, „კავკასიის კონფედერაციის“ წევრთა რაოდენობა ამ ვებგვერდზეც შეიცვლება...

მკითხველს, ალბათ, კიდევ ბევრ კითხვაზე დასჭირდება პასუხის გაცემა... ბ-ნ ჯონათან კოენისა და მისი ქართველი პარტნიორების გარშემო ისედაც ბევრი უპასუხო კითხვა დაგროვდა; თუნდაც:

_ რატომ იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე კოენისა და მისი მეგობრების მიმართ და რატომ შეწყდა?

_ რატომ და რა ვითარებაში გადაეფარა გოგა ხაინდრავა ბ-ნ ჯონათან კოენს, რომელსაც პარტიზანები მოსაკლავად დაემუქრნენ?

_ რატომ დაიჭირეს და გაასამართლეს ეს პარტიზანები?

_ როდის გამოფხიზლდებიან გრანტებს დახარბებული ქართველები?

_ ქართველები/კავკასიელები როდის ვიპოვით ოქროს შუალედს ფსევდოლიბერალურ და ფუნდამენტალისტურ უკიდურესობების მოძალების საუკუნეში?

და ბოლოს:

2008 წლის 5 იანვარს (ვგულისხმობ რეფერენდუმს) საქართველოს მოსახლეობამ დიდი ისტორიული არჩევანი გააკეთა: „ევროატლანტიკური ალიანსი“; თუმცა, თუ ხანგრძლივად სტაბილური კავკასია/საქართველო გვინდა, საქართველოს მოქალაქეებმაც (ქართველებმა, აფხაზებმა...) და საქართველოს პარტნიორობის მოსურნეებმაც შორეული თუ უახლესი ისტორიის ობიექტური გააზრებით, ლეგიტიმური არჩევნებით და ადგილობრივი ეკონომიკის აღორძინებით, ჩვენს აწმყოში უნდა შევქმნათ ხანგრძლივი და მშვიდობიანი თანაარსებობის პერსპექტივები...

შეკითხვა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გია ნოდიას

2001 წლის 17 აპრილს ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ მოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციასთან დადო განვითარების საკრედიტო ხელშეკრულება (განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების კრედიტი #3474 GE) კრედიტის თანხა 19,9 მილიონი SDR-ი (ხელმოწერის დროს 25,9 მილიონი აშშ დოლარი). კრედიტი იხურება 2008 წლის 30 ივნისს. რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა კრედიტი და როგორ მოხდება მისი შემდგომი გასტუმრება?

სახალხო დამცველის აპარატი ჩაფლავებული პოლიტიკანების თავშესაფარი?



სახალხო დამცველის აპარატში პოლიტიკისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად განამწესეს ნაგუბერნატორალ-ნადეპუტატარი ვასილ მაღლაფერიძე.

გაუგებარია, რა ფუნქცია აკისრია მაღლაფერიძისათვის საგანგებოდ შექმნილ ამ სტრუქტურულმა წარმონაქმნს სახალხო დამცველის აპარატში და რა უნდა აკეთოს მისმა ხელმძღვანელმა.

დასაწყისი მე-7 გვ.

გარანტი - ასეთი„ოპოზიციური“ პარტია არანაირად არ შეიძლება იყოს მოწადინებული შეცვალოს შევარდნაძე-სააკაშვილის სისტემა, იბრძოლოს ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისთვის, იბრძოლოს საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად, იბრძოლოს ტრანსნაციონალური მონოპოლიების მხრიდან მომდინარე ეკონომიკური ანექსიის წინააღმდეგ.

საქართველოში პოლიტიკური კრიზისის დემოკრატიული მოგვარება, შესაძლებელია მხოლოდ ერის მხრიდან სახელმწიფო-პოლიტიკურ ძალაუფლებაზე პირდაპირი პოლიტიკური და სოციალური კონტროლის დაწესებით, წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო არ უნდა დაკომპლექტდეს„პოზიცია-ოპოზიციად“ გაყოფილი შევარდნაძე-სააკაშვილის სისტემის ნაწილებით. მათგან ქართველი ერი არ უნდა ელოდეს ხალხის პირდაპირი ძალაუფლების კონსტიტუციურ გარანტიებს. ორგანიზაციული გადაჯგუფებით, პერსონალიების გადანაწილებით მათ სურთ არსებული პარტოკრატიული სისტემის გახანგრძლივება, ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის ადამიანების შიმშილის დისციპლინით მართვა.

არჩევანი უნდა გაკეთდეს ეროვნული და სოციალური განთავისუფლების სტრატეგიის და პროგრამის სასარგებლოდ, არა პასიური ლოდინი, თუ როდის მოვა„პოლიტიკური გაზაფხული“, არამედ პრინციპული კონსოლიდაცია საქართველოს სუვერენიტეტისა და ერის სახელმწიფო-პოლიტიკური უზენაესობის პლატფორმის გარშემო. ჩვენი საერთო ბრძოლა შეცვლის ჩვენს საერთო მომავალს.

პოლიტიკური კრიზისი საქართველოში და დემოკრატიული გამოსავალი

დავით არაბიძე

ტერიტორიულ კონფლიქტებსა და სოციალურ პრობლემებში გახვეული საქართველო დღეს, მძაფრ პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება.

ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს ღრმა ფესვი აქვს 1991-1992 წლების ანტიკონსტიტუციურ შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებაში, რომელმაც თავისი კვალი დატოვა და დღესაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, 1991 წლის 31 მარტს გამართულმა საერთო-სახალხო რეფერენდუმმა, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. საქართველოს ჰქონდა ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობა, განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მაღალი ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მეთაურობდა ეროვნული მოღვაწე და დემოკრატი ზვიად გამსახურდია. მაგრამ ქვეყანას, აგრეთვე ჰყავდა„ჩრდილოვანი“ ეკონომიკის„ტუზები“, კორუმპირებული პარტოკრატები და ასევე კორუმპირებული ჯგუფი პრივილეგირებული ინტელიგენციისა, კრიმინალური„ავტორიტეტები“. საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თავმჯდომარეობით მოქმედი საკონსტიტუციო კომისია მუშაობდა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტზე, რომელიც უნდა დაყრდნობოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებს, კერძოდ კი მუხლ 52-ს.„ხელმწიფობა ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფობას“ და მუხლ 64-ს„თუ 30 ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოთ ხალხს წარუდგინოს“.

ლპობადი საბჭოთა სოციალიზმის წიაღიდან გამოსულმა სოციალურ-პოლიტიკურმა მუტანტებმა ანტიკონსტიტუციური და ანტისახელმწიფოებრივი ღალატის აქტი ჩაიდინეს. კლეპტოკრატებმა ისარგებლეს რა მოსახლეობაში კერძო საკუთრებისა და მრავალპარტიული წარმომადგენლობითი დემოკრატიის გამოცდილების არქონით, ფორმაციის ცვლილებით გამოწვეული ეკონომიკური დეზორგანიზაციით, აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტული ომებით, კანონიერების მომხრეთა მიმართ განხორციელებული მასობრივი პოლიტიკური რეპრესიებით, მოღალატე ე. შევარდნაძის რეჟიმმა, ქვეყანას თავს მოახვია კონსტიტუციის სუროგატი. ანტიეროვნულმა რეჟიმმა, რომელიც პარტოკრატებისა და კრიმინალების ნაზავს წარმოადგენდა, ხელისუფლება, ამ ერზაც-კონსტიტუციით „გაანთავისუფლა“ სოციალური და დემოკრატიული კონტროლისაგან, ხოლო ფიქტიური არჩევნები და ეროვნული საკუთრების სიმდიდრის ტოტალურად განიავება-გაყიდვა, „დემოკრატიად“ და„საბაზრო ეოკნომიკად“ გამოაცხადა. ქართველ ერს საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით კანონის მიღების, ან გაუქმების უფლება წაერთვა, რითაც შეეზღუდა პირდაპირი სახელმწიფო-პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების საშუალება. სანაცვლოდ ამ ერზაც-კონსტიტუციამ„დააკანონა“ პარტიული მონოპოლია სახელმწიფო-პოლიტიკურ ძალაუფლებასა და ეროვნული სიმდიდრის განკარგვაზე. (1995-2003 წლებში მოქალაქეთა კავშირი, ხოლო 2004 წლიდან, დღემდე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, იგივე მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ნაწილი) შედეგად კი მონოპოლიტისტი პარტია მის რიგებში მყოფ პოლიტიკანებს სრულ შესაძლებლობას აძლევს არად ჩააგდონ ადამიანის უფლებები, ხელყონ მათი საკუთრება და შრომის უფლება, ფეხქვეშ გათელონ ტრადიციული მორალურ-ეთიკური ნორმები. მონოპოლისტმა პარტიამ სრულ ფიქციად აქცია სასამართლო, ხოლო პარლამენტი, ხალხის ზურგს უკან, პარტიათაშორის გარიგებების არენად, გზა გაუხსნა მთავარობაში მონოპოლისტი პარტიის მარიონეტებს.

ლიბერალური ფუნდამენტალიზმის ზეობის პირობებში, როცა ტრანსნაციონალური მონოპოლიები არად აგდებენ სახელმწიფოთა სტრატეგიულ ინტერესებს, ბითუმად, ცალობით ყიდულობენ მთელს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს, საქართველოს მოღალატე ე. შევარდნაძემ საქართველოს მოქალაქეებს წაართვა რეფერენდუმის გზით კანონებზე ზემოქმედების საშუალება. ე. შევარდნაძის მიერ ბოძებული ძალაუფლება და ერზაც-კონსტიტუცია, მ. სააკაშვილმა, კარგად მოარგო საკუთარ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხარბ მადას.„არჩეული“ საკანონმდებლო ორგანო ხალხს მოსწყვიტა, შედეგად ქვეყანამ მიიღოპარტიულად ორგანიზებული კლეპტოკრატიული „საპარლამენტო უმრავლესობა“, რომელიც ორიგანიზებულ და პოლიტიკურ და სოციალურ ძალადობას ახორციელებს ქართველი ერის წინააღმდეგ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, დღეს ტრანს-ნაციონალური კაპიტალის კლიენტურასა და ბროკერთა კლუბის ფუნქციას ასრულებს, მიზანმიმართულად ანგრევს ქვეყნის შიდა ბაზარს,„პრივატიზაციისა“ და„ინვესტიციების მოზიდვის“ საფარქვეშ ახშობს ეროვნულ საწარმოო ძალთა განვითარებას, ართმევს საქართველოს მოქალაქეებს შრომისა და ეროვნული სიმდიდრის საკუთრების უფლებას; ქვეყანას ახვევს ვალების ბადეში, რათა მთელი მისი მომავალი მხოლოდ ამ ვალების მომსახურებაზე იყოს მიბმული, ყოველივე ეს კი თავად საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ეროვნულ უსაფრთხოებას უთხრის ძირს.

2007 წლის 2-7 ნოემბრის მოვლენების საფუძველი, სამოქალაქო წინააღმდეგობა, ბრძოლა პარტოკრატიული დიქტატურის წინააღმდეგ ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პერსპექტივა პირდაპირაა დამოკიდებული ერის ძალაუფლების კონსტიტუციური შეზღუდვის გაუქმებასთან. პოლიტიკური პარტიებისგან დამოუკიდებლად, რეფერენდუმის გზით უშუალო ხელისუფლების განხორციელება ახალ პერსპექტივას აძლევს ჩვენს ქვეყანას. თუნდაც 200 ათასი მოქალაქის წერილობითი მოთხოვნა ავტომატურად უნდა იწვევდეს უკვე მიღებული კანონის საერთოსახალხო რეფერენდუმზე წარდგენას. ამ უფლებას თან უნდა დაერთოს მაჟორიტარულ ოლქიდან და პარტიული სიით არჩეული დეპუტატის გამოწვევის უფლებაც. მნიშვნელოვანია, აგრეთვე სამოქალაქო სექტორის, განსაკუთრებით პროფკავშირებისთვის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების აღდგენეა, ისევე როგორც ეს იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს. პოლიტიკური პარტია, რომელიც უარს ამბობს სახალხო ძალაუფლების კონსტიტუციური შეზღუდვების გაუქმებაზე, უარს ამბობს დეპუტატის გამოწვევის უფლებაზე, უარს ამბობს შეცვალოს სოციალურ-შრომითი სისტემა და არ აპირებს გახდეს საქართველოს მოქალაქის შრომის უფლების

გაგრძელება მე-6 გვ.

ის, ვინც „გაამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ამერიკელი
(ორიენტაციათა შესახებ)

"... ზოგიერთს დასავლური ორიენტაცია ჰგონია დასავლეთის პორნოგრაფიული და სადისტური ფილმების კულტი, განგსტერების „ჰეროიკა“, დასავლური მოდების წამხედურობა, დასავლეთის წინაშე ხელგაშვერილი დგომა უცხოური კრედიტების მოლოდინში, საეჭვო პოლიტიკური გარიგებები ზოგიერთ პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, მათი მოწვევა საქართველოში, საქართველოს ბუნებრივ და წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, პორტების და საწარმოო ობიექტების მიყიდვა დასავლეთისათვის და სხვა. აი, ასეთ დასავლურ ორიენტაციას ვგმობთ ჩვენ... დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის, რომ ჩვენი თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება, დასავლური ღია, დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ.

ასევე უნდა ავითვისოთ ყოველივე საუკეთესო აღმოსავლურ და, საერთოდ, მსოფლიო კულტურასა და ცივლიზაციაში. ჩვენი მსოფლიო ისტორიული მისიაც ამ ორი სამყაროს სინთეზში მდგომარეობს და ეს სინთეზი იყო ოდითგანვე იბერიურ-კავკასიური სამყარო, მისი ტრადიციები, მისი სულიერი და კულტურული ყოფა, მისი ცხოვრების ფილოსოფია. საქართველოს თავისთავადობისა და თვითმყოფადობისათვის ბრძოლაც „იზოლაციონიზმი“ და „ალბანიზაცია“ არ გახლავთ... ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა კი ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ არსებობს. ვინც „გაინგლისელდება“, „გაგერმანელდება“, „გაფრანგდება“, „გარუსდება“, „გაამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი ან ამერიკელი და ქართველობასაც დაჰკარგავს და თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი მსოფლიო მოქალაქენი. ევროპის ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობების წაშლა ან გათქვეფა“.

ზვიად გამსახურდია,
1992 წელი

მკვახე შემახილი ლია ანდღულაძესა და სხვებს...

"სათქმელი ხალხმა გვიკარნახა, როგორც გაფრთხილება ქვეყნის ერთიანობასა და თანხმობისათვის. ჭაობიდან და სიბნელიდან გამოღწეული მოსახლეობა ნათელ და იმედიან გზას ადგას, წელში სწორდება და არ დაუშვებს ამ გზიდან გადახვევას!" ვკითხულობ და მგონია, ეს სტრიქონები, საქართველოს გასაბჭოების წლებშია დაწერილი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ეს დღეს იწერება!

და თუ ვინმეს მსგავსი სულისკვეთებით შექმნილი პუბლიცისტურ შედევრების თვალის გადავლების ნოსტალგია მოგეძალათ, ძველი პრესის ქექვას ნუ დაიწყებთ, შეგიძლიათ თვალი გადაავლოთ "ასავალ-დასავალის" უახლეს ნომრებს და მყის დაგიცხრობთ ნოსტალგიას.

ხალხმა გვიკარნახა სათქმელიო, გვამცნობენ ავტორები. ხალხი, საქართველოში, სხვას ამბობს, ქალბატონო ლიავ და სხვანო!

ხოლო იმათ, ვინც ეს სათქმელი გიკარნახათ, გულში ეცინებათ, როგორც ხელისუფლების მესვეურებს, ასევა მათ, ვისაც თქვენ ამუნათებთ, რამეთუ ისინი, ერთნიც და მეორენიც სინამდვილეში ერთიანი არიან. დღეს, ხალხს, ნამდვილი ბატონ-პატრონი რომ ჰყავდეს, ასე გულმოდგინედ არ გაირჯებოდით შავის თეთრად წარმოსაჩენად.

დღეს საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე ნამდვილი ოპოზიცია რომ არსებობდეს, ეს თქვენი ხელისუფლება და მისი "ოპოზიციაც" ვირის აბანოში ერთად ინებივრებდნენ.

მთავარი ავტორი ჩემს მიერ განსახილველი "შედევრისა", ქალბატონი ლია ანდღულაძეა, ოდესღაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ყოფილი "ვარდების რევოლუციის" ტრუბადური.

იკითხავს მკითხველი, ამდენ თანაავტორებში, რაღა, მაინცდამაინც ეს ქალბატონი ამოარჩიეო, მიზეზი უბრალოა — მას, ქართული ეროვნული მოძრაობის უმეტესი ნაწილი მეტნაკლებად იცნობს!

საერთოდ მეჩოთირება ქალბატონებთან პოლემიკაში ჩართვა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის... საკითხავია, დღეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ცოცხალი რომ იყოს და ისევ დევნილობაში ცხოვრობდეს, მოუწონებდა კი ამგვარ საქციელს მის მინისტრს? დაფიქრებულან კი ამ წერილის დიდად პატივცემული და "წარჩინებული" ადამიანები ამაზედ?

თუ რადგან, ბატონი ზვიადი ჩვენს შორის აღარ არის, ყველაფრის ქმნა და წერა შეიძლება?

მაშ ასე, ქალბატონო ლია, ამ წერილის ავტორი თავს უფლებას ვაძლევ, საკუთარ თავს "ძველი გვარდიელი" ვუწოდო და მკვახე შეძახილით (სათაური აკ. ბაქრაძეს დავესესხე) მოგმართოთ: კი მაგრამ, ქალბატონო ლია, მართლა ბნელა? სათქმელი ხალხმა გვიკარნახაო, რომ ბრძანებთ, რომელმა ხალხმა ფსევდონაციონალებმა,თუ თავისუფლების ინსტიტუტის მესვეურებმა?

მე ჯერ ცოცხალი ვარ და უბრალო, პატიოსან, მართალ ხალხს ამის მსგავსი აგერ უკვე 17 წელიწადია არ უთქვამს. ამგვარს მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების მესვეურნი, მთავრობის წევრები, მათი პოლიტბიურო — "თავისუფლების ინსტიტუტი" და მათი ლიქნია მონები თუ იტყვიან მხოლოდ!

ძალიან კი ირჯებით, თქვენი მიმართვები ზედიზედ იბეჭდება ამ გაზეთში, მაგრამ გადახედეთ საქართველოს სინამდვილეს, სადაც სულ საპირისპიროს ვხვდებით. თქვენი მიმართვები ზოგადი სახის დემაგოგიაა, ხოლო ქვეყნის სავალალო, ავბედითი ყოფა კი _ საგანგაშო!

ეს აშენდა, ის აშენდაო, აღორძინდაო, მაგალითად სიღნაღიც მოგყავთ. სიღნაღი კი იმ ცნობილი "სწრაფი და ხარისხიანი" აღმშენებლობის შედეგად მეწყერწასაღებადაა განწირული. რაღაც ამათ მოჩორთილ 50 დღიან პროგრამასაც ახსენებთ, სასაცილოა პირდაპირ, სიღატაკის მიღმა მიათრიეს მოსახლეობა და ახლა, სიღარიბე 50 დღეში უნდათ დასძლიონ!?

ის ციხეებიც, რომლებიც "ევროპულ სტანდარტებზედ" ააგეთ ქარ-წვიმის სათარეშოდაა ქცეული, რაც კი ააგეთ, შადრევნების გარდა, უხარისხობის ნიშნითაა დაღდასმული!

ათასგვარ სიკეთეს მიაწერეთ მთავრობას, ისე მართლა თუ რამე გაკეთდა, რა სალაპარაკოა, აბა რისთვის "მოხდა" ის ყბადაღებული "ვარდების რევოლუცია?" რისთვის შეგრიალდნენ ზარზეიმით ქაჯეთის ციხეში შევარდნაძის დაზრდილი პოლიტიკოსები?

ქალბატონო ლია და თქვენ ქვემორე ხელის მომწერნო, ნუთუ მართლა გჯერათ "მშვიდობიანი ვარდების რევოლუციისა"?

და თუ ალალად გჯერათ, მაშინ ვაი ჩვენს თავს, უბედურს!

ქალბატონო ლია, მრავალი ბატალიების მნახველი ხართ, ჩემგან რა უნდა გესწავლებოდეთ, მაგრამ ერთს შეგახსენებთ: ქართველმა ხალხმა 1992 წელს იწვნია "სახალხო ჯანყისა და რევოლუციის" უბედურება, მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის დელგმამ და თქეშმა გადაუარა, რომლის შედეგებს კარგა ხანს კიდევ მოიმკის ქვეყანა, თუნდაც ამ ვარდოსნების პარპაშის სახით. კარგად გვახსოვს, როგორ დასრულდა ის ავადსახსენებელი დეკემბერიანვრის თბილისური ჯანყი, რა უყვეს კანონიერ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს. ე მაგ თქვენი "ვარდების რევოლუცია" კი ნამდვილად არ ჰგავდა მას საბოლოო შედეგით, რამეთუ დიქტატორი შევარდნაძე განცხრომით ნებივრობს კრწანისის აპარტამენტში და "ნაციონალ" ხელისუფალთაგან არავინაა მომკითხავი მისი ღალატისა და ავკაცობის. ხოლო ნამდვილ პრეზიდენტსა და ჭირისუფალ ზვიად გამსახურდიას კი, რაც დამართეს მსოფლიომ იცის!

ქალბატონო ლია, იმ "ბობოქარ დღეებში" თქვენი კუმირი და მისი რაზმი ძელზედ გასმით ემუქრებოდა შევარდნაძეს, მაგრამ ვარდებისა და ჭიქა ჩაის რევოლუციის შემდეგ, ერთობ ლმობიერი და მიმტევებლები შეიქმნენ მის მიმართ ან კი რა ჰქონდათ ამ ნაძირალებს დასაქადნები მათი აღმზრდელისა და მოძღვრის წინააღმდეგ! შევარდნაძე, რომ არა, ვინ იცის დღეს, ესენი, სად ეყრებოდნენ!

გაიხსენეთ, ქალბატონო ლია, იმ დროს, როდესაც შევარდნაძე ჯერ კიდევ რომ შევარდნაძობდა და "არჩევნებს" ატარებდა, თბილისის ერთ-ერთ უბანში მან მაჟორიტარად მოღალატეთა კავშირიდან ამომრჩევლებს წარუდგინა ამერიკიდან ახლად დაბრუნებული ვინმე სააკაშვილი და ხალხს ასე გააცნო — ეს თქვენი მომავალი პრზიდენტიაო!

თქვენ კი ისევ იმ შხამიანი ვარდების რევოლუციის მტვერს გვაყრით თვალებში. მაშინ ქართული საზოგადოებისათვის მართლაც უცხო ვინმე იყო ეს თქვენი კუმირი, ხოლო ჩემთვის კი ცნობილი და იცით საიდან და როდიდან?

1993 წლის მოვლენების დროს, როდესაც საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენა დაიწყო და ზუგდიდში კანონიერი უზენაესი საბჭოს სესიები მიმდინარეობდა (რასაც, სხვათა შორის თქვენც

გაგრძელება მე-9 გვ.

დასაწყისი მე-8 გვ.

ესწრებოდით), იმ დროს "ამერიკის ხმის" ეთერში თავისუფლად დათარეშობდა ეგ თქვენი კუმირი და ეროვნული ხელისუფლებისა და კანონიერი პრეზიდენტის სიძულვილით გადმონთხეული მისი გესლი რადიოდანაც გვშხამავდა. ამ კაცს ისეთივე სიძულვილი ახრჩობდა ჩვენი პრეზიდენტის მიმართ, როგორც დღევანდელი პარლამენტის წევრებს: გრიგალაშვილს, გაბაშვილს, ბოკერიას, ხაბაზს, ბობოხიძესა და სხვა მრავალთ.

თქვენ კი, ლამისაა, ჯერ არნახულ გმირებად წარმოგვიჩინოთ ეს პუტჩისტები, თუ მათი ხორციელ-ხულიერი მემკვიდრენი!

ქალბატონო ლია, მე მართლმადიდებელ ქრისტიანად მეგულვებოდით, მაგრამ ეს რა გითქვამთ: ზვიადის სული მიხეილ სააკაშვილში ჩასახლდაო!

ეს აშკარა შეუწყნარებელი მკრეხელობაა!

ამას თვით მაღალი ღმერთიც არ დაუშვებდა! თუ ჩასახლებაზე მიდგებოდა საქმე, ვინმე ღირსეულს მაინც მოიძევდა ქართველთა შორის და თუ ვერ იპოვნიდა, მაშინ გააჩენდა ისეთს, ვინც ღირსი იქნებოდა ზვიად გამსახურდიას სულის ჩასახლებისა!

ქალბატონო ლია ანდღულაძევ და კანონიერი ხელისუფლების ყოფილო მომხრეებო, ჩვენთვის, უბრალო ქართველებისთვის დღესაც მნიშვნელოვანი და უმთავრესია დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მიმართვები თუ დადგენილებები, რომლებიც არ აღიარებენ საქართველოში პუტჩის ნაშობ, არც ერთ ხელისუფლებას. სანამ ქვეყანაში არ აღსდგება ისტორიული სამართლიანობა და ამ სამართლიანობის მემკვიდრე იქნება ის ხელისუფლება, რომელიც გაიმარჯვებს უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნულ არჩევნებში. ჩვენი პრეზიდენტი ყოველთვის მოგვიწოდებდა, რომ ვყოფილიყავით ამ ბრძოლაში უკომპრომისოები, მოუსყიდველნი და შეუპოვარნი.

სხვას რა უნდა მოვკითხო, როცა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, მისი პრეზიდიუმის წევრი არის რუპორი შევარდნაძის რეჟიმის მემკვიდრისა! განა თქვენ არ გმართებდათ უზენაესი საბჭოს დადგენილებების, პრეზიდენტის მიმართვების ერთგულება, უპირველსად?!

რატომ, რისთვის ჩაერიეთ ამ მეტად საჩოთირო და სამარცხვინო აურზაურში? იქნებ გაანათა ოცდაათმა ვერცხლმა ჯოჯოხეთი?

ქალბატონო ლია, ამ კოლექტიური დემაგოგიის ქვეშ თქვენს სახელს ამშვენებს — "ლიტერატურათმცოდნე, აკად. დოქტ". არადა მე თქვენ გიცნობდით, როგორც ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს. მართალია მას მერე თითქმის ოცმა წელმა ჩაიარა, მაგრამ ყოველივე ამის ფონზე ერთობ საეჭვოა ეს ტიტულები, მაშინ როდესაც იმ დროიდან სამსახურებიდან პოლიტიკური მრწამსის გამო დათხოვნილი მასწავლებლები, ლექტორები თუ მეცნიერები, დღემდის აღუდგენელი არიან.

ქალბატონო ლია, თქვენს ყოფილ კოლეგას, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს ზვიად გამსახურდიას ერეოდა ერთმანეთში რუსთაველისა და გ. ორბელიანის სტროფები? ერეოდა ერთმანეთში სულორი და ილორი?

აბა, ამ უტვინო თავის მატარებელ მიშას სხეულში ჩასახლებას იკადრებდა ჩვენი ბრძენი და ეგზომ განათლებული პრეზიდენტის სული?

რატომ შეურაცხავით ისედაც გვემული, სამშობლოს მოამაგე ჭირისუფლის სპეტაკი სული?

ქალბატონო ლია, საქართველოს დედაქალაქში ამ "ხელისუფლებამ" ნუთუ ვერ გამოძებნა შესაფერისი გამზირი, რომელიც მართლაც ღირსი იქნებოდა ჩვენი პრეზიდენტის სახელის ტარებისა? ჯერ იყო მტკვრის პირას გამავალ საავტომობილო გზატკეცილს მიანიჭეს პრეზიდენტის სახელი, მერე მასაც სეკვესტრი უყვეს და ალიევის სახელი უწოდეს მისგან ჩამოჭრილ ნაწილს. ნუთუ არ აღგაშფოთათა ამან? მსოფლიო ქვეყნების პრაქტიკაში მიღებულია ასეთი რამ — როდესაც ქვეყნის მეთაური გარდაიცვლება მას შესაფერისი პატივით კრძალავენ, ქვეყანაში ცხადდება გლოვა, ეწყობა გამოსათხოვარი აღლუმი, რამეთუ ის, ამავ დროს, ქვეყნის მთავარსარდალიცაა და სამარეში ჩაშვებისას ზალპებით აცილებენ.

ჩვენში კი რა მოხდა? როგორც იქნა ეღირსა საქართველოსთვის ჩაფერფლილ ზვიადის სპეტაკ ნეშტს მშობლიური მიწა, თქვენმა ნაქებმა "ხელისუფლებამ" კი ის მთაწმინდამდეც არ მიაცილა. არც ზალპები ყოფილა, არც გამოსათხოვარი სიტყვები, არც გლოვა! მერე რა, რომ თოთხმეტი წლის წინ დაიღუპა! მე და ჩემნაირ ასიათასებს გვსურდა ეს გლოვა სახელმწიფო დონეზე ყოფილიყო, თორემ, ჩვენ დღემდისაც ვგლოვობთ, საქართველოს პირველი პრეზიდენტს.

თქვენს ახალ "ხელისუფალთ", თავის "ოპოზიციონერებიანად" დღესაც სიძულვილით აძაგძაგებთ

ზვიადის სახელის გაგონებისას!

ქალაქის ცენტრში, საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტის ნაცვლად მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის ბელადის, ალიევის ძეგლი წამოჭიმეს, ბელადის შვილის მთავრობა კი, დღითი დღე გვიმატებს ფასს ნავთობსა და გაზზე. საინგილოში, ქართულ მიწაზე ქართულ ეკლესიას ხურავს და გარეჯის სამონასტრო კომპლექსს გვეცილება, ხოლო ინგილოებს ქართველებთან კონტაქტს უკრძალავს.

ქალბატონო ლია, გთხოვთ მიპასუხოთ, რა განსხვავებაა ალიევსა და შევარდნაძეს შორის? ორივენი ხომ სულგაყიდული ბოლშევიკები, პოლიტბიუროს წევრები, კგბ-გენერლები და პუტჩის სულისჩამდგმელები იყვნენ! ალიევის სახელის გაგონებისას ყოველ პატიოსან აზერბაიჯანელს ტანში ბურძლავს, კავკასიის დემოკრატიის ახალგაზრდა "მამა" — მიშა სააკაშვილი კი ძეგლს უდგამს ამ უზურპატორსა და დიქტატორს, მაგარია მიშა არა?!

ალიევის ძეგლის დადგმა თვალსაჩინო მაგალითია დამდგმელის პროსაბჭოური მლიქვნელობისა და მენტალიტეტისა. მას საერთოდ არ ანაღვლებს, არც გარეჯი და არც საინგილო!

მას, დავით აღმაშენებელიც მხოლოდ ინაუგურაციის დროს ახსენდება სასპეკულიანტოდ!

ან კი წელს მაინც, როგორ ავიდა გელათს? რა პირით, რა ნამუსით? რა უთხრა მის საფლავს?

მალე შენც გაგაბრძანებ აქედანო და ამ მიწასაც გადამთიელს მივყიდი სარფიანად, ბიუჯეტის შესავსებადო?

ქალბატონი ლია, მაშინაც სიამაყით დავაბიჯებდი იმ გამზირზე, რომელიც ერთ დროს ჩვენი დიდოსტატის კონსტანტინეს სახელს ატარებდა, ახლა მისკენ გახედვაც აღარ მსურს! ეს არის რეაბილიტაცია? ან კი რა სჭირს გამსახურდიას გვარს ამათი სარეაბილიტაციო?

ქ-ნ ლია, ნუთუ, არც იმ თავხედობამ აღგაშფოთათ, ბორჯომში, პრივილეგიებით ჩამოყვანილი ჩრდილოელი ოსების წინაშე, სააკაშვილმა, ბოდიშის მოხდით რომ განაცხადა: რამდენიმე წლის წინ, ერთი სულელის მიერ თქვენ იძულებით აიყარეთ აქედანო! პრეზიდენტ გამსახურდიაზე რომ მიანიშნა?

რეფორმებიო, ესაო, ისაო, ალბათ განათლების სისტემის ნგრევასაც რეფორმებს უწოდებთ, არა? უმაღლესი სასწავლებლების ნგრევა და შტურმიც რეფორმაა?! რეფორმაა ის, რაც უნივერსიტეტს, ილია ჭავჭავაძის დასავლური ენებისა და კულტურის უნივერსიტეტს, სპორტის აკადემიას და საერთოდ, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დამართეს?! დავიჯერო სტყუის ყველა მეცნიერი, ვინც ამ ნგრევას აღუდგა და მხოლოდ თქვენ ხართ მართლები? იქნებ რეფორმაა ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმდა ლაბორატორიები, გამოჩენილ მეცნიერთა სახელობის კაბინეტები, კათედრები, ფაკულტეტები... ქალბატონო ლია, ლოტოტრონის გათამაშებით, ხარაზის ან დალაქის სკოლის დირექტორად დანიშვნაც რეფორმაა?

რა ვქნა, არ შემიძლია გაჩუმება და ამიტომ, როგორც სულმნათ გურამ შარაძეს, შუბლში ტყვია უნდა დამახალოთ? იქნებ, ქალბატონო ლია, არც ის იყო აკადემიკოსი და მეცნიერი? განა ეროვნული იდების, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის პროპაგანდისათვის არ დაახალეს მას ტყვია?" ხელისუფლებასო" აბრალებენო — ამბრაზურად ეფარებით მკვლელებს.

ან კიდევ, ვინ არის თქვენი კუმირი სისხლისმიერი ნათესავები? რომელი ორგანოს მაღალჩინოსნები და გენერლები არიან ისინი?

ამ ვაი ოპოზიციას, ის ასიათასობით ადმიანი ქუჩაში მართლაც არ გამოუყვანია! ის ასეულათასობით ადამიანი სააკაშვილის მახრჩობელა გველად ქცეულმა ხელისუფლებამ გამოიყვანა და იმ თქვენმა ნახევარ-ძმებმა ("ოპოზიციონერებმა") იხსნეს თქვენი კუმირიცა და მისი ძალმომრეობაც ამ ხალხის რისხვისაგან! თორემ, მათ რომ ნორმალური წინამძღოლი ჰყოლოდა, გარწმუნებთ, დღეს, არც თქვენი წერილების კითხვით მომენამლებოდა სული და გული!

ამის თქმის უფლებას მთელი ამ თვეების მანძილზე მიმდინარე მოვლენები მაძლევს. ამ თქვენმა ნახევარ-ძმებმა, ამოდენა ხალხი უთავბოლოდ აცუნდრუკეს და ბოლოს — მორჩა კინო, წაით სახლშიო!

ახლა არჩევნებსაც შევეხები, თუმც მე ის საერთოდ არ მაინტერესებს და იცით რატომ, იმიტომ, რომ ჩემმა პრეზიდენტმა, ჯერ კიდევ 1992 წლის "იმედის" არჩევნების დროს მომიწოდა საყოველთაო ბოიკოტისაკენ მანამ, სანამ საქართველოში არ აღსდგება 1990 წელს დემოკრატიული არჩევნებით არჩეული ხელისუფლება, მე სიკვდილის პირამდე, თქვენგან განსხვავებით, ერთგული ვიქნები ამ გზისა, თუნდაც, თქვენმა მკვლელობაში გაწაფულმა "ხელისუფლებამ" გურამ შარაძის მსგავსად ტყვია ზურგიდან დამახალოს! ყოველ მართალ ადამიანს მოეხსენება ამ არჩევნების სიავკარგე, მე ერთი რამ მაინტერესებს მხოლოდ: პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ არჩევნებისთვის გაწეული ხარჯები. ამ სიაში ისევ თქვენი კუმირი ლიდერობს 23 მილიონით!

ქალბატონო ლია, ამ ციფრმა თქვენში არავითარი გრძნობა არ გამოიწვია? საიდან ჰქონდა თვითონაც ნაპრეზიდენტალ სააკაშვილს ამდენი ფული იქნებ შემოწირულობები მიხსენოთ, ჰა? რაღაც, არც ეს მჯერა, ეს შემოწირულობები კი არა, შეწირულობები უნდა იყოს.

ცრუ და ყალთაბანდია ისეთი პრეზიდენტი, ვინც მოსკოვიდან დაბრუნებული მეუბნება ფსოუს და როკის გვირაბს რუსები და ჩვენ ერთობლივად გავაკონტროლებთო — ამას მივაღწიეო, იქადნიდა, მაგრამ სიცრუეს მოკლე ფეხები აქვსო და რუსებმაც არ დააყოვნეს, ასეთი რამ ჩვენ აზრად არ მოგვსვლიაო.

ქალბატონო ლია, ჩემზედ უკეთესად მოგეხსენებათ თუ როგორ უფრთხილდებოდა ყოველ გროშ-კაპიკს ზვიად გამსახურდია, თავს არიდებდა ვოიჟებს. ის სულ ერთხელ იყო საზღვარგარეთ. ეს ვაჟბატონი კი სულ ცაშია გამოკიდული.

და ბოლოს, უზენაესი საბჭოს ყოფილო დეპუტატო და პრეზიდიუმის ყოფილო წევრო, როგორ ემხრობით თქვენს ხელისუფლებას და მთავრობას, რომელიც ნახევარ მილიონზე მეტ თუქმანულ ტომის ნაშიერთ ე. წ. თურქ-მესხებს გისახლებთ საქართველოში?

თქვენმა "ყოფილმა" ხელისუფლებამ ხომ ტაბუ დაადო ამ საკითხს თავის დროზე, დღეს კი რას სჩადიხართ? არის თუ არა ყოველივე ეს ღალატი ჩვენი კანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი კანონებისა, რომლებიც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებიდან მომდინარეობდა?

ასე, რომ ქალბატონო ლია ანდღულაძევ და მის "შედევრებზე" ხელის მომწერნო, რაც არ უნდა დაშვრეთ, ფაქტი ერთია, ეს "ხელისუფლება", თავის ოპოზიციიანად, ერთ წიაღში - შევარდნაძის "წალკოტშია" შობილი. ისინი ისეთივე დამღუპველები არიან ქვეყნისა, როგორიც თვით ამბროსოვიჩი, მაგრამ ამნაირი დემაგოგიური პასკვილების ავტორნიც არანაკლებ საშიშნი ხართ ჩვენი ქვეყნისთვის!

იმ ავადსახსენებელმა ორგანიზაციამ, რომელსაც დღემდე საქართველოს საშიშროების კომიტეტი ჰქვია, საკუთარი მრავალი კადრი შეგზავნა "მრგვალი მაგიდის" შემადგენლობაშიც და ეროვნულ მოძრაობაშიც, რომელთა თვით ლუსტრაცია ეტაპობრივად ხდება.

აბა, ვინ იქნებით შემდეგი?!

გლახო კარგარეთელი

კობა ბუკია

მე შენ გამოგყვები, უფალო

მე შენ გამოგყვები, უფალო,
ლოცვით ავმაღლდები ზეცად,
ჩემი ცოდვილი სულის ხსნას
მე მხოლოდ შენში ვხედავ.
მე შენ გამოგყვები, უფალო,
როგორც ბავშვი მშობელ დედას,
ფეხებს დაგისველებ ცრემლით და
არ განვიკითხავ ჩემს თავს.
მე შენ გამოგყვები, უფალო,
ჯვარცმისთვის განვამზადებ სულს,
რწმენით შევმუსრავ წყეულს,
თვით ღმერთისაგან კრულს.
მე შენ გამოგყვები, უფალო,
შენს მარჯვნივ ყოფნა მსურს,
რათა დავუმკვიდრო მშვიდობა
ცოდვით დაცემულ გულს.
მე შენ გამოგყვები, უფალო,
მონანიების გზით,
მაკურთხე იესო ქრისტევ
ჯვარით, ცეცხლით და წყლით.

მე ის მაფიქრებს

მე ის მაფიქრებს,
რაზეც ტატო დიდხანს ფიქრობდა,
მე ის მადარდებს,
ალექსანდრე რაზეც იტყოდა:
„ვაჰ, დრონი, დრონი“...
და სული მათი მზისკენ ილტვოდა.
მე ის მაწუხებს,
რაც ილიას ცრემლადა ღვრიდა,
ცად აღმიტაცებს,
აკაკის ენით რაც უკვე ითქვა:
„ჩემი ხატია სამშობლო“...
და სული მათი _ სავანე ღვთისა.
მე ის მატყვევებს,
რაც ტერენტის და რაც ტიციანს,
მათი გრძნობები
უსაზღვრო და ეგზომ დიდია.
მე მათრობს ის, რაც
გალაკტიონს ათრობდა მუდამ,
მე მიპყრობს, მიპყრობს
პოეზიის მეუფე _ მუზა
და ამ ფიქრებში
მათთან ერთად ვიბრძვი და ვქუხვარ!

ახლოა ქართველთ მეჯლისი

ისანს დავეცი კარავი,
ისარს მივეტრფი მარჯსაო,
მერცხალმა შეკრა კამარი,
ცეცხლადა იმ მნათ ხანთაო.
იმად ცათამდის ავმაღლდი
იფქლად მოვცარი მტერიო,
ისემაც რწმენით ავმაღლდი
მთის ზენაც გადაველიო.
გაივლის ჟამი მერმისი,
აივლის აწმყო ჭმუნვისა,
ახლოა ქართველთ მეჯლისი,
კალოა მუხათ მუმლისა.

მონატრებულ აფხაზეთს

აფხაზეთო, აფხაზეთო,
ჩემი ყრმობის დიდო არგო,
წებელდისა მთათა ხედო
მუნ მოგტაცე გულის სატრფო.
და მის მერე ვწერ და მწარედ
შენზე ვდარდობ, სული მტკივა,
გარდამექცა დღე მე ღამედ,
უშენობა მსუსხავს, მცივა.
რაც კი ერთად ვზიდეთ ჯვარი
ცრუ ჩემში რა შეგიცვნია?
რაც შენია ჩემიც არის,
ჩვენს შორის მდგომს _ შუბლში ტყვია.
დავბრუნდები, ისევ ერთად
გადავიხდით ზღაპრულ სუფრას,
გაგვაჩინა ძმებად ღმერთმა
და ვიცხოვროთ ძმურად უნდა.
დაგვაშორა მხეცთა ხროვამ,
მე კი ისევ შენთან ვიყავ,
აფხაზეთო, მალე მოვალ,
ნება უფლის არს და იყავნ!

* * *

ალავერდი, შუამთა და იყალთო,
ქართველებო მტერზე უნდა იმარჯვოთ;
გელათი და ნიკორწმინდა, ჯვარი,
თქვენთვის რეკდეს მიტევების ზარი;
დავითს, თამარს, ილიას და ზვიადს,
ვუერთგულოთ გზას კურთხეულს, დიადს;
ვახტანგს, ცოტნეს, გიორგის და ბაგრატს,
ჩვენს წინაპრებს ჩვენზე დარდი გაჰყვათ;
დღეს რომაა იმდაგვარი ჟამი
ნაკუწ-ნაკუწ დაიფლითოს ხმალით;
მშვიდობაა ომზე მეტი კვდომით,
მოენატრა დიდგორს ჟინი ბრძოლის;
ალავერდი, შუამთა და იყალთო,
დრო არ გრჩება, ქართველო, რომ იდარდო;
გელათი და ნიკორწმინდა, ჯვარი,
იყარეთ აწ მტერზე გულის ჯავრი
და ისმინეთ ჭეშმარიტი ღმერთის :
იყუარებდეთ ურთიერთ არსს, რწმენით!

* * *

მეტეხთან მტკვარი ჩაფიქრებულა,
მისი ფიქრების ტკივილი მტანჯავს,
ასიათასი რწმენით ვნებულა,
ასიათასი ცრემლებად გაჰყვა.
უთანაგრძნობდა მათ ნარიყალა
და დასტიროდა ცით ღვთისმშობელი,
ფიქრების გროვა მსწრაფლ გაიფანტა,
მზე ამობრწყინდა, ნათლის მშობელი.
წმინდანთა დასი ასიათასის
წმინდა საუფლოს ლოცვით ესტუმრა,
მტკვარს ახსოვს მწარე ტანჯვა მრავალი,
მეტეხთან სევდა გამეფებულა.
ეხლაც ფიქრების ნიაღვარია,
უჩვეულოდ დუმს, იხსენებს წარსულს,
დღეს შემოდგომის ნიავ-ქარია
და განშორება მეტეხთან არ მსურს.

აღდგომის გზა

დავითს და თამარს,
გიორგის, ბაგრატს,
საბას, ილიას
გზას ნათელს, დიადს _
საქართველოს მზე,
საქართველოს ცა,
საქართველოს გზა ჰქვია.
ვაჟას, აკაკის,
მერაბს და ზვიადს,
აპრილის დილას
გზას წმინდას, დიადს -
საქართველოს მზე,
საქართველოს ცა,
საქართველოს გზა ჰქვია.
ბნელსა და წყვდიადს,
ეკლიანს, მტრიანს,
გოლგოთის გზას და
მომავალს დიადს -
საქართველოს მზე,
საქართველოს ცა
და აღდგომის გზა ჰქვია.

თბილისი

რძისფრად მოედო მიმწუხრის ნისლი
თბილისის ზღუდედ აღმართულ გორებს,
მტკვარმა გაუძლო რაოდენ ტკივილს,
საუკუნეთა ჭიდილს და ბრძოლებს.
გული მიიწევს მზისფერ წარსულთან,
ო, როგორ შვენის თეთრი მერდინი,
სულს აუცრემლებს დემონ ავსულსაც,
მთაწმინდის ხატი, მადლშევერცხლილი.
და არა ერთხელ შენ შეგამჩნიეს,
წამოემართნენ ურიცხვი სპანი,
მეციხოვნეებს სისხლი ადინეს,
რომ ხელთ ჩაეგდოთ ეს ნატვრის თვალი.
არ გღალატობდა არც როს ცარგვალი
და არ გიგრძვნია შენ შიშის ქარი,
გაუტეხლობა, ვფიცავ, ამგვარი,
რომს შეშურდება _ ქალაქთა არწივს.
თბილისი, ჩემი თეთრი ტაძარი,
წმინდა სამების გვირგვინშემკული,
სხვა არ მეგულვის მზის შესადარი
დედაქალაქი, მართლაც მეფური.

ციცინათელებო

ღამეა, მთვარე ანათებს შუკებს,
მტკვრის მშფოთვარე გულს ძილი დაექარგა,
არ სძინავს მთვარეს და არ სძინავს თურმე
ცისკრის ფრთებიან ციცინათელასაც.
მთავარი წყვდიადთან შებმა და ბრძოლაა;
სინათლის ნატრულთან ღამის გათევა,
ნათლის ზეობისას კი თავმდაბლობაა
შენებრ, ჩემო კარგო ციცინათელა.
ციცინათელებო, ციცინათელებო,
მზის დობილებო და შუქის ფანტელებო,
ნუ დამემალებით, გზები გამინათეთ
ციცინათელებო.

* * *

კურთხეულია წუთი, რომელიც
არის მომგვრელი ბედნიერების,
ცაზე ვარსკვლავთა ბალ-მასკარადი
და პოდიუმი მზიურ ფერების.
ბავშვივით მხიბლავს აზრთა სიცხადით
კურთხეულია წუთი, რომელიც
მიყვარდა, მიყვარს მე პოეტურად
ყველა ფიქრი და ფერი ყოველი.
ახლაც მიყვარხართ და ახლაც მხიბლავთ,
ახლახან ჩემი სატრფო მეძახდა,
კურთხეულია წუთი, რომელიც
ბედნიერს გაგვხდის ტრფობით ხელახლა.
თუ წინათგრძნობა უტყუარია
ყველა ფიქრის და ფერის ყოველის,
ბედნიერება ერგება ხვედრად
კურთხეულია წუთი, რომელიც...

* * *

საქართველოს მარგალიტებს,
საქართველოს ხეობებს,
ცად აზიდულ მთის მწვერვალებს,
ველად გაჭრილ მეომრებს.
სიმართლისთვის ჯვარცმულ გმირებს,
მოწამეებს, წმინდანებს,
ვისგან ქართველობის წესი
და ადათი ვისწავლეთ.
ღვთითკურთხეულ ივერიის
მეფეებს და დედოფლებს,
მწიგნობრებს და ხატშემკობებს,
წმინდა ტაძრის ერთგულ მრევლს.
საქართველოს ისტორიას
წარსულსა და აწმყო გზას,
გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ
სიყვარულით ერის ხატს _
ქართულ ენას,
უფლის მახვილს!
საქართველოს,
უფლის ჯვარს!!!

ტერენტი გრანელი
მარტოსული ქართველი ბარდი და ლურჯი ბაღების პრინცი
(მას ცოტა ხნით სურდა გარდაცვალება...)

2008 წლის 15 თებერვლის სუხსიანი საღამოა. მე ვიმყოფები თბილისის ერთ-ერთი გარეუბნის ნაცრისფერი კორპუსის პირველ სართულზე. ჩემ ოთახში შეშის ღუმელი გიზგიზებს, ჭერზე დაკიდებულ ყვითელ გალიაში ჭიკჭიკებს თუთიყუში, რომელსაც "ბაირონი" ჰქვია სახელად და ამ ყალბ იდილიაში ტერენტი გრანელის "სისხლიან რვეულს" ვკითხულობ...

"... პოეზიამ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას.

მე არ მინდოდა სიცოცხლე.

არც სიკვდილი.

მე რაღაც სხვა მსურდა.

... არა სიცოცხლე.

არა სიკვდილი.

არამედ რაღაც სხვა."

ეს გრანელია! — თბილისის ქუჩებში მოხეტიალე პოეტი, მარტოსული ქართველი ბარდი.

ეს გრანელია! — ქარიშხალთან შეჭიდებული უმწეო, ობოლი ბავშვი... ღამის თბილისის უბეში შეყუჟული სნეული ბარტყი...

მას თეთრი ხალათი აცვია, ხელში დამჭკნარი იის კონა უჭირავს და თვალებარეული მიარღვევს ქუჩას... მზე ანათებს, მაგრამ ირგვლივ "ყრუ ჰაერია" და სუნთქვა უმძიმს... ენატრება თბილი გული, ენატრება დედა და დები, რომლებიც "სადღაც შორს არიან"... სულში თეთრი ანგელოზი ჩასახლებია, ცაზე კი წერო მიფრინავს და ისიც, დაღალული და მოქანცული მიუყვება საწუთროსეულ გზაწვრილს... ხოლო შუაღამისას, როს კრთიან ვარსკვლავები, როს სივრცე ბნელია, ვიღაც უჩინარის შემზარავ მკლავებს უცნობ განზომილებაში მიჰყავს და მის გატანჯულ სხეულს თეთრ კუბოში ათავსებს; კუბოში, რომელსაც სერაფიმები დარაჯობენ და რომელსაც თავად ღვთისმშობელი დასტირის... შემდეგ, ანგელოზები მიასვენებენ სადღაც შორს და ამ მისტიკურ პროცესიას წინ ქრისტე მიუძღვის... ყოველღამე კვდება თავის პატარა, ნაწყალობევ ბინაში და ყოველდღე ასაფლავებენ უსხეულო არსებები. შემდეგ თენდება და ტერენტი, ვით "თეთრი მდუმარება", ისე იმალება თეთრ ბაღში, სადაც სიჩუმე და სიმარტოვეა. გარინდებული ზის ამოჩემებულ სკამზე და უცხო ქალის მიერ გიტარაზე ახმიანებულ იდუმალ მელოდიას იგონებს... აქ, ამ სიჩუმეთა სავანეში, ყოველივე არარეალური და არამიწიერია: განსაცვიფრებელი სისწრაფით დაქრიან მატარებლები, მოჩვენებებივით დაძრწიან უცნაური ჩრდილები, შეშლილი ქარები დასდევენ ყვითელ ფოთლებს, ტოტებზე ათასნაირი ჩიტები სხედან და ამ არარეალურ რეალობაში მყოფი პოეტი, რომელსაც მუდამ ზეცისკენ გაურბის მზერა, გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ კვლავ დედამიწაზე იმყოფება...

დიახ, ის კვლავ მიწაზეა და ფანჯარასთან დგას. გარეთ კი "ნისლით დაბურული დღეა... თბილისიც მოწყენილია, რადგან: "გარმონს უკრავენ რუსი ჯარისკაცები" და ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს...

და გადის დრო. მას მუდამ რაღაც სტკივა, რაღაც აწუხებს და პოეტის იდუმალი წინათგრძნობის ნიჭით დაჯილდოვებული, ახალ ტკივილებს და "საშინელ გრიგალებს" ელის...

და გრიგალიც არ აყოვნებს!..

"გიჟი ხარ!.. სულით ავადმყოფი ხარ!.. დამნაშავე ხარ!.. პოეტებს არცხვენ!" — გამუდმებით ჩაესმის ავის მომასწავებელი ხმა. მას ახსოვს სიკვდილი, მან იცის სიკვდილის ფერი და გემო, და მაინც, ვიღაც ბოროტი სული განუწყვეტლად ახსენებს დაუვიწყარ — "Memento mori"-ს...

"არ ვიცი ამ ხალხს რა დავუშავე, ჩემზე რანაირ ხმებს ავრცელებენ", — გაკვირვებული სვამს კითხვას და პასუხს ვერ იღებს...

და ია, ის კვლავ სარკმელთან დგას, ოღონდ სურამის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს ერთ-ერთი პალატის სარკმელთან... თავგზააბნეული, დამფრთხალი ჩიტივით ჩაჰფრენია რკინის გისოსებს და არაამქვეყნიური ხმით ჩურჩულებს: "ეს შემოდგომა და ეს მინდორი მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის, მაღლა გაფრენა მე მოვინდომე, რადგან მიწაზე სული არ იცდის"...

და აგონდება, ოთახში — პრონცესასავით მოსიარულე თეთრი სიჩუმე, სადღაც ნანახი "მოწყენილი თუთიყუში", მაცხოვრის გორაზე აგებული წალენჯიხის უმშვენიერესი ტაძარი... აგონდება ბავშვობა, სიდუხჭირე, პირველი ლექსები, ჯოჯოხეთური ღამეები, თბილისის კონტურები და მტრად მოკიდებულ სივრცეს გასძახის: "არ მშორდება მე უძილო ღამე, დამეხსენი ლაჟვარდების ცაო! მოდი მალე და მიშველე რამე, მოდი მალე, ვიღუპები დაო".

და კი არსად ჩანს. დანისლული გონების ლაბირინთებში ხომ არ დაეკარგა მისი ცისფერი სხეული?.. მისი ტრაგიკული ცხოვრების იმედი და არსი ზოზია!..

მას სივრცის გამოცვლა, მოძრაობა სურს... თავისუფლება და ქვაშვეთის საყდრის სილუეტი ენატრება. იცის, რომ "სული — თოვლია და ხორცი — ლეში", დარწმუნებულია, რომ საღი გონება აქვს და უთბილისობა გააგიჟებს!..

გრანელს უყვარს ამგვარი წამება და, უფრო მეტიც, — ახარებს ახალი სატანჯველი... წუთისოფლისგან გარიყული, შლეგივით მიჰყვება "ლანდების ასეულს", შავი ნიღბით სახე დაფარული დაეხეტება უდაბნოში და წუხს; წუხს რომ ვერ მოაწყო აწეწილი ცხოვრება, რომ პოეზიას ემსხვერპლა, ლექსების გარდა რომ არაფერი გააჩნია და ამ მცირე მონაგებსაც მორწმუნე ქრისტიანის მორჩილებით ურიგდება: "ლექსების გარდა რა გამაჩნია, იყოს ლექსები, სხვა არაფერი"... "რა მწუხარეა ეს პოეზია და ეს მიდამო რა გულსაკლავი"...

დიახ, მას პოეზიის გარდა არაფერი გააჩნია... მერე რა? წავა ბაღში. ბაღი ხომ უფასოა?.. წავა, თვალებს დახუჭავს, დაასვენებს... პოეზიის უსაზღვროებას ეზიარება... შემდეგ ქუჩას დაუბრუნდება, ან სადღაც მაღლობზე დადგება და ზემოდან გადახედავს თავის მაწამებელ თბილისს... ან თუნდაც ყაჩაღივით დაიმალება ტყეში!.. ეს მისი სივრცეა, მისი ქვეყანა და თუმც "დაბლა წევს" და "მაღლა ვიღაც ატირებს სკრიპკას", სულერთია, — მაინც დაწერს "ძვირფას სტრიქონებს", კოკისპირულ წვიმაში წაიკითხავს ბლოკის პოეზიას, მოისმენს ბეთჰოვენს, დაიტირებს ვანო სარაჯიშვილს და კოტე მაყაშვილს და როგორც ადრე, კვლავ შეაშფოთებს გალაკტიონის ვეება ლანდი: "ერთად ვხეტიალობდით თბილისის ბულვარებში, რესტორნებში, ბაღებში, — მე არსად არ გტოვებდი. შენ პოეტად შეგიცნეს, როს ჩაგხედეს თვალებში, მე კი დავრჩი მტკვრის პირად — უსახელო პოეტი"...

უკიდეგანოდ გულნატკენი, გულჩათხრობილი და ნაწყენია... და მიდის შორს, ძალიან შორს, რადგან ნიკალასავით დასდევს ლანდი "მთვარისაგან განაბრაზები", რადგან მის ირგვლივ "დიდი ცეცხლი ანთია", რადგან "შორიდან უფრო კარგია მუხრანის ხიდი და არსენალი", რადგან იძულებულია გაექცეს უხეშ მიწას, პატარა მტრებს, ჭორებს, ღვარძლს, ღვინოს, ციხის საკნებს და შორეულ ცას გაანდოს საწუხარი... და საერთოდ, — "ცოტა ხნით სურს გარდაცვალება"...

ეს ტერენტი გრანელია! — თბილისის ქუჩებში მოხეტიალე მარტოსული ბარდი და ლურჯი ბაღების პრინცი!..

ეს გრანელია! — საქვეყნოდ ცნობილი, — "სახელიანი" პოეტი!

მას ფუჭად არ უცხოვრია.

მას სჯეროდა სიცოცხლე სხეულის გარეშე.

მას არ უნდოდა სიცოცხლე.

არც სიკვდილი.

მას რაღაც სხვა უნდოდა.

ეს "სხვა" — უკვდავებაა!..

გრანელმა მოიპოვა უკვდავება.

შუაღამეა. ცეცხლი ჩაქრა. ცივა. ჭერზე დაკიდებულ ყვითელ გალიაში თუთიყუში "ბაირონი" ფხიზლობს, პაწია ნისკარტით რკინის გისოსებს ღრღნის და ნასისხლარი თავისუფლების მოპოვებას ცდილობს...

გალია — საპყრობილეა!..

ღია სივრცეში კი ჩიტები დანავარდობენ და ურჩი ბარდები გენიალურ ლექსებს ქმნიან...

თავისუფლება — ჩიტებს და პოეტებს.

თინათინ მღვდლიაშვილი
2008 წელი, 15 თებერვალი

თბილისის ბარდები

მე ახლა მინდა გავუყვე ქუჩას,
ხელში მეჭიროს ცისფერი ვარდი...
და დრო დავკარგო უქმად და ფუჭად, —
ჩვეულებრივი მე ვიყო ბარდი.
მინდა, რომ სილა გავაწნა ქალაქს, —
ჩემს მაწამებელ ბაფთიან გვამებს...
რიონის პირას ვესტუმრო გალას,
წალენჯიხაში — ტერენტი გრანელს.
და მერე, ალბათ, სამცაცხვის ძირას
იზაბელას თუ ადესას ვსვამდე,
თეთრი ლექსივით დავფხრიწო დილა
და მერ ისევ წავიდე სადმე...
გზაჯვარედინზე ვდგავარ და ვნატრობ
დავწერო ქება — ხეთა და ხილთა...
მაგონდებიან მირზა და ლადო
მეტეხის ხიდთან!..
თეთრი გემივით ირწევა მთვარე
და ნარიყალას ათეთრებს ფუნჯით...
ნიკალასავით მთვრალია არე,
ესოდენ ღრმა და ესოდენ ლურჯი.
და ახლა, როგორც არასდროს მინდა
ვესტუმრო გალას ამ შეშლილ ღამეს...
მერე პაოლოს — რიონის პირას,
მერე ტიციანს და მერე გრანელს.
მინდა, რომ თეთრი სამოსი მეცვას
და ოქროს თევზი ამოჰყვეს ბადეს...
რა ეშველება თბილისის ზეცას?..
რა გვეშველება თბილისის ბარდებს?!

თინათინ მღვდლიაშვილი
2008 წელი, 14 თებერვალი

აღვადგინოთ ქართული ხორბალი

ინტერვიუ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილთან

– ბატონო პეტერე, გამოკვლევებით დადგენილია, რომ კულტურულ მცენარეთა შორის, ხორბალი უძველესია. ამას ადასტურებს სხვადასხვა მხარეში ჩატარებული არქეოლოგიურ განათხრებში აღმოჩენილი ხორბლის ნარჩენები, აგრეთვე უძველესი დროის ისტორიული წყაროები.

_ ხორბალი ნეოლითური კულტურაა, რაც დასტურდება ევროპის, აღმოსავლეთ აზიის, შუა და მცირე აზიის, კავკასიის, მათ შორის საქართველოს და აფრიკის რიგ ოლქებში ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებში მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე. ნავარაუდებია, რომ ხორბლის გამოყენების საწყისი ფესვები გაცილებით ღრმაა, ვიდრე ადამიანის კულტურული ისტორიული ცხოვრების დასაწყისი. ხორბლის კულტურის სასარგებლო თვისებებს ადამიანი მხოლოდ იმ მხარეში გაეცნო, სადაც იგი ან მისი მონათესავე მარცლოვნები ველურად იბადებოდნენ.

ველური ხორბლის არეალი მოქცეულია წინა აზიის ტერიტორიის, პალესტინის, სირიის, მცირე აზიის, ირანის, ერაყის, ამიერკავკასიისა და ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ფარგლებში. ხორბლის კულტურის ისეთი უნიკალური ვიწრო ენდემური სახეობები, რომლებიც ევოლუციურად ძალიან ახლოს დგანან ხორბლის ველურ სახეობებთან, აღმოჩენილი და შემონახულია მხოლოდ საქართველოს აგროკულტურაში, ნაპოვნია მის არქეოლოგიურ განათხრებში და ცნობილია ხალხის ლექსიკაში. ეს სახეობებია მახა, ძველი კოლხური ასლი და ზანდური. ეს ფაქტი სარწმუნო საბუთია კულტურული ხორბლის ქართული კერის პირველადობის მტკიცებისათვის.

ველურ ხორბლიდან "კულტურულ ხორბლად" ჩამოყალიბება იყო ადამიანთა სამყაროს ისტორიაში ხალხური სელექციის უდიდესი მონაპოვარი, რომელიც დაკავშირებულია სამ ფაქტორის გამოყენებასთან. ეს ფაქტორებია: ხვნა, თესვა და მოსავლი აღება.

ქართული ხალხური სელექცია ერთ-ერთი უძველესია. საქართველო კი ბევრი მნიშვნელოვანი კულტურული მცენარის ფორმირების ძირითადი ცენტრია. ქართული სელექციური ცენტრის პირველადობა დასტურდება საქართველოს კულტურული ფლორის შემადგენლობაში კულტურული პირველადი სახეობების, სელექციის ისტორიის ენდემური ძეგლების არსებობით, რაც უცნობია სხვა ქვეყნების აგროკულტურისათვის.

ნეოლითისა და ბრინჯაოს ადრეულ ხანაში საქართველოს მინდვრებში უკვე მოჰყავდათ ხორბლის რამოდენიმე სახეობა, რაც დადასტურებულია ქართველ არქეოლოგთა მონაცემებით. ცნობილი მეცნიერის აკადემიკოს ნ. ვავილოვის მიხედვით ხორბლის ფორმათწარმოქმნის წინაზიურ კერაში საქართველოს უკავია განსაკუთრებული ადგილი. ამასვე ადასტურებს ხორბლის კულტურის გამოჩენილი მეცნიერები: პ. ჟუკოვსკი, ვ. დოროფეევი, ლ. დეკაპრცევიჩი, ვ. მენაბდე, მ.იაკუბცინერი და მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერი. ეს საკითხი დასაბუთებულია ჩემს მიერ სულ ახლახან ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში, პირველ ორიგინალურ ქართული დოკუმენტურ წყაროებში დამოწმებულია ხორბლის უძველესი სახელწოდებანი: "იფქლი", "ასლი", "დიკა", "მახა", "ზანდური", "დოლი", "ხულუგო", "ხობო", "ხოტორა", "პოშოლა" და სხვა. ხორბლის ამგვარი დიფერენცირებული სახეობრივი სახელწოდებანი, არც ერთ ქვეყნის ხალხს არ გააჩნია, რაც იმის დამადასტურებელი დოკუმენტია, რომ ხორბლის თანამედროვე კულტურულ სახეობათა ფორმირებაში მონაწილეობა ქართველმა ხალხმა მიიღო.

დღემდე ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევებით და არსებული ფაქტობრივი მასალით დადგენილია, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის საქართველო გამოირჩევა ხორბლის პირველი, უნიკალური, ვიწრო ენდემური სახეობების სიმრავლით, ე. ი. ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვნენ ხორბლის ისეთი სახეობები, რომელთა მსგავსიც არ გვხვდება მსოფლიოს არც ერთი ქვეყანაში. ასეთი სახეობებია: ტრიტიკუმ ტიმოფეევი (ჩელტა ზანდური _ 2n=28), ტრიტიკუმ ჟუკოვსკი (42 ქრომოსომიანი ზანდური), ტრიტიკუმ გეორგიკუმ და სხვა.

ხორბლის გვარში შემავალი სახეობების 25 პროცენტი საქართველოსათვის ენდემურია და ენდემიზმის ასეთი მაღალი დონე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ახასიათებს.

გარდა სახეობათა სიმრავლისა, საქართველო გამოირჩევა ხორბლის სახესხვაობათა და ჯიშთა მეტად დიდი მრავალფეროვნებით. სადღეისოდ ქართულ კულტურულ ხორბალთა შორის აღწერილია 146-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიშთა მეტად დიდი მრავალფეროვნება (150-ზე მეტი).

– რით შეიძლება აიხსნას ხორბლის ასეთი დიდი მრავალფეროვნება საქართველოში?

_ საქართველო თავისი მდებარეობით უნიკალური ქვეყანაა და ამავე დროს წარმოადგენს კაცობრიობის არა მარტო ცივლიზაციის, აგრეთვე მიწათმოქმედების უძველეს კერას და აგრეთვე იმ ბუნებრივ ხიდს, სადაც ხვდებოდა და უჯვარდებოდა ევროპისა და აზიის მიღწევები მიწათმოქმედებაში. ეს წარმოადგენდა მიწათმოქმედების ისეთ ქვეყანას, რომლის ველური ფლორის სიმდიდრე და აქ მცხოვრებ ხალხთა კულტურის მაღალი დონე ხელს უწყობდა მრავალფეროვან კულტურულ მცენარეთა შექმნას.

საქართველო, როგორც ავღნიშნე უძველესი მიწათმოქმედების ქვეყანაა, სადაც მის სასოფლო-სამეურნეო დარგთა მეცნიერულ კვლევას უხსოვარ დროში გაუდგამს ფესვები და საწყის იღებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. უძველესი ისტორია აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებს _ სელექციას, მეთესლეობას, მემინდვრეობას, მევენახეობას, მეხილეობას, მებოსტნეობას. ყოველივე, რაც აღვნიშნე არაპირდაპირი პასუხია დასმული კითხვისა.

საქართველო, მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების მრავალფეროვნებით, მოქცეულია მთებსა და ზღვას და ნახევრად უდაბნო ტიპის ვაკეებს შორის, შიგნითაც- დასერილია მთიანი ჭალებითა და მდინარეებით, რითაც ქმნის ვაკეებს, ხეობებს და ფერდობებს, რის გამოც მკვეთრად არის გამოსახული ვერტიკალური ზონალობა, რაც 5600 მ და მეტს აღწევს ზღვის დონიდან.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოში რთული ფიზიკური-გეოგრაფიული თავისებურება ვლინდება, როგორც ვერტიკალურ, ასევე, ჰორიზონტალური მიმართულებით, რის გამოც საქართველო კონტრასტების ქვეყანაა და გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო და აგრეთვე ველურ მცენარეთა მეტად დიდი მრავალფეროვნებით.

ამრიგად, საქართველოში, ხორბლის დიდი მრავალფეროვნების წარმოქმნის პასუხად შეიძლება დასახელებული იქნეს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1. კლიმატური და ნიადაგობრივი მრავალფეროვნება; 2. ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობა; 3. მეტაგენური ფაქტორებით გამოწვეული მეტაგიური ცვალებადობა; 4. შორეული ჰიბრიდიზაცია; 5. ბუნებრივი გადარჩევა; და 6. ჩვენ წინაპართა მიერ აღნიშნულ ფონზე შექმნილი გენეტიკური რესურსების გონივრული გამოყენება _ ხალხური და მეცნიერული სელექცია. ყველა ამ ფაქტორთა მოქმედების შედეგია, რომ საქართველო აღიარებულია ხორბლის მრავალი უნიკალური სახეობის, სახესხვაობის, ჯიშის, ფორმის წარმოშობის სამშობლოდ.

– რა განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობები?

_ საქართველოს ხორბლის განსაკუთრებული მნიშვნელობათა გამო, მისი შესწავლით დაინტერესებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მომუშავე მეცნიერი. საქართველოს ხორბლის ენდემურ სახეობებს სწავლობენ ბოტანიკოსები, ციტოლოგები, გენეტიკოსები, ემბრიოლოგები, ფიზიოლოგები, ბიოქიმიკოსები, სელექციონერები, ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის მეცნიერები.

ქართული ხორბლის ენდემურ სახეობათა შესწავლის ინტერესი ყოველ დღიურად იზრდება; საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობები საინტერესო აღმოჩნდა არა მარტო პრაქტიკულ-სელექციური თვალსაზრისით, არამედ თეორიულადაც. საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების შესწავლით, შესაძლებელი გახდა "პური ჩვენი არსობისა" რბილი ხორბლის წარმოშობის ისტორიის აღდგენა, როგორც ცნობილია რბილი ხორბლის ისტორია გარკვეული დონით ადამიანთა კულტურის ისტორიაცაა.

ქართული ხორბლის ენდემური სახეობები იყო და არის მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღების ცენტრში, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მხოლოდ მათ შორისაა შემორჩენილი კულტურის პირველადი ფორმები ველური ფორმებისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები, მეორეც, მხოლოდ საქართველოშია დაცული ხორბლის სრული პოლიპლოიდური რიგი და მესამეც, მხოლოდ საქართველოს ხორბლებს შორისაა სოკოვანი დაავადებებისადმი და მავნებლებისადმი გამძლე სახეობები, სახესხვაობები, ჯიშები, ფორმები და რასები.

საქართველოს ხორბლის ენდემურ სახეობებს პრაქტიკულ-სელექციური მნიშვნელობა აქვთ, რაც იმით გამოიხატება, რომ ზოგიერთი მათგანი უნიკალური ნიშან-თვისებების გამაპირობებელი გენების მატარებელია. ამ მხრივ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მათ გენოტიპში სოკოვანი დაავადებების მიმართ კომპლექსური იმუნიტეტის გასაპირობებელი არსებობა; აგრეთვე, მათ გენოტიპში მავნებლებისადმი გამძლეობის გენების არსებობა, რის გამოც საქართველო აღიარებულია დაავადებებისადმი და მავნებლებისადმი გამძლე ხორბლის სამშობლოდ.

საქართველოს 42-ქრომოსომიანი სახეობა მახას წარმოშობაში დიდი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს ასლმა _ ტრიტიკუმ გეორგიკუმმა. ეს სახეობა, როგორც არქეოლოგიური მონაცემებითაა ცნობილი, დასავლეთ საქართვლეოში გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქაში.

ხორბალი მახა ცნობილია, როგორც უძველესი 42-ქრომოსომიანი ხორბალი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ყველაზე მეტად ეკონომიურად მნივშნელოვანი სახეობის რბილი ხორბლის წარმოშობაში.

დადგენილია, რომ რბილი ხორბლის წარმოშობა შეიძლება წარმართულიყო მრავალი

გაგრძელება მე-13 გვ.

გზით. დღემდე ცნობილი ექსპერიმენტებიდან თითქმის ყველაში მონაწილეობდა საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობები. მიღებული მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა ხორბლის ფორმათა წარმოქმნის ფართო პროცესს, მათ შორის კაცობრიობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი სახეობა წარმოიქმნა, როგორიცაა რბილი ხორბალი. ქართველ მიწათმოქმედებს უნარი შესწევდათ, ამ ოქროს შენადნობიდან გამოერჩიათ, შეენარჩუნებინათ და მათ შორის უკეთესი და ჩვენამდე მოეტანათ.

– საქართველოში ხორბლის უნიკალური ენდემური სახეობების გარდა შენარჩუნებულია რბილი ხორბლის, მაგარი ხორბლის, ხორბალ დიკას მეტად თავისებური, ორიგინალური ჯიშ-პოპულაციები, რომლებიც წარმოიშვნენ ხორბლის ენდემურ სახეობათა წარმოქმნის ძირითადი კერის მახლობლად. ეს ჯიშპოპულაციები, რაზედაც თქვენ არაერთხელ მიუთითებთ, წარმოდგენილი არიან, როგორც აბორიგენული ეკოლოგიური ჯგუფები. ხომ არ აღნიშნავთ, რა განსხვავებაა ამ ჯგუფებს შორის?

_ საქართველოში ხორბლის უნიკალური ვიწრო ენდემური სახეობების გარდა, მათი გავრცელების ძირითადი არეალის მახლობლად წარმოიშვა და ჩვენმა მიწათმოქმედებმა გასული საუკუნის მეორე ნახევრამდე თითქმის უცვლელად მოგვიტანეს რბილი ხორბლის, მაგარი ხორბლის, ხორბალ ტურგიდუმის და, აგრეთვე, ხორბალ დიკას მეტად თავისებური და ძვირფასი აბორიგენული ჯიშ-პოპულაციები და ფორმები, რომლებიც საქართველოში წარმოდგენილი იყო აგროეკოლოლოგიური ჯგუფების სახით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური ნიშნებისა და თვისებების მკვეთრი გენეტიკური კონტრასტებით. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურებული იქნა, რომ ზოგიერთი მათგანის გენოტიპი პრაქტიკულ-სამეურნეო, სელექციური და გენეტიკური თვალსაზრისით მეტად ძვირფასი ნიშან-თვისებების მატარებელია. საქართველოს აბორიგენული ყველა ჯიშ-პოპულაციისათვის დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის მეტად ჭრელი, თავისებური კლიმატური და ნიადაგური პირობებისადმი მკვეთრად მაღალი შეგუების უნარი. ამ მხრივ გამოირჩევა რბილი ხორბლის შემდეგი ჯიშები: ქართლის თეთრი დოლის პური, ქართლის წითელი დოლის პური, თიანეთის წითელი დოლის პური, ახალციხის წითელი დოლის პური (მესხური დოლი), კახური დოლის პური, გომბორული, ლაგოდეხის გრძელთავთავა, თეთრი იფქლი, წითელი იფქლი და სხვა.

ადაპტაციის პარალელურად, საქართველოს ხორბლის აბორიგენული ჯიშები გამოირჩევა სხვა დადებითი ნიშნებით. ამ მხრივ აღსანიშნავია დაავადებებისადმი გამძლეობა, ჩაწოლისადმი გამძლეობა, ღეროს ელასტიურობა, თავთავიდან მარცვლების ცვენადობისადმი გამძლეობა, თავთავში მარცვლის გაღვივებისადმი გამძლეობა, მარცვალში ცილის და ცილაში შეუნაცვლებელი ამინომჟავების გადიდებული შემცველობა, დაფქვისა და პურცხობის მაღალი უნარი, მარცვლის მყარი მოსავლიანობის უნარი. ამ მხრივ, აღსანიშნავია: ახალციხის წითელი დოლის პური, თეთრი იფქლი, გომბორული, ლაგოდეხის გრძელთავთავა, კორბოულის დოლის პური, მაგარი ხორბლიდან შავფხა, თავთუხი 19/28, ხოლო ხორბალ დიკადან _ ჯავახეთის დიკა და დიკა 9/14. ამ ჯიშების წარმოებაში აღდგენა და ფართოდ გავრცელება გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან ესენი ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ტიპის ჯიშებია. ეს ჯიშები იძლევა საკმაოდ მაღალ და მყარ მოსავალს, მაღალხარისხიან პურს და ნამჯას. მართალია, ამ ჯიშებს თანამედროვე ტიპის ჯიშებით შედარებით ახასიათებთ დაბალი მოსავალი, მაგრამ მათთან შედარებით გააჩნიათ ისეთი ძვირფასი სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებები, რომლებიც აუცილებელია ხორბლის ინტენსიური ტიპის ჯიშებისათვის. ეს არის კომპლექსური იმუნიტეტი, ტოლერანტობა, ზემგრძნობიარობა, ამინმჟავებით ბალანსირებული ცილების შემცველობა, პურცხობის მაღალი თვისებები და სხვა. ყოველივე ამის გამო სელექციონერები იყენებენ ქართულ ხორბალს სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშნების გასაუმჯობესებლად, თუნდაც მაღალი იმუნური სასელექციო საწყისი მასალის შესაქმნელად.

ცნობილია, რომ ხორბალს ყველაზე მეტ ზიანს აყენებს ჟანგა სოკოები, რომლებიც ე. წ. ობლიკატურ პარაზიტებს განეკუთვნებიან და მხოლოდ მცენარის ცოცხალ ქსოვილში სახლდებიან. ხორბალმა დიკამ ევოლუციის მანძილზე კარგად "შეისწავლა" ამ ბარბაროსული მტრის "ოინები" და გამოიმუშავა მისგან დაცვის მარტივი, მაგრამ უაღრესად ორიგინალური მექანიზმი _ უჯრედების თვითმკვლელობა, როცა მცენარის ფოთლებში მოხვდება ჟანგას სპორები და იწყებს საკუთარი უჯრედების სიკვდილს, პარაზიტის სპორის ირგვლივ წარმოიქმნება მკვდარი უჯრედების წრე და პარაზიტს "დაატყვევებს" ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ქართლის დოლის პურისათვის კი დამახასიათებელია დაავადებათა მიმართ მაღალი ტოლერანტობის დონე. ხორბლის ეს ჯიშები დაავადების სიმძლავრისა და ინტენსივობის ექვივალენტურად არ აქვეითებენ მარცვლის მოსავალს. ბოლო პერიოდში გამოვლენილია ქართული ხორბლის კიდევ ერთი სამეურნეო ღირებულება _ რადიაციის გაზრდილი ფონისადმი შედარებით კარგი გამძლეობა.

– თქვენ, როგორც ხორბლის ცნობილი მეცნიერი, რომელ აბორიგენულ ქართული ხორბლის ჯიშებს შესთავაზებთ ფერმერებს?

_ პირველ რიგში, რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშები აღდგენილი უნდა იქნას მთიანი რაიონების პირობებში დაფერდებულ ადგილებზე დასათესად. სამცხე-ჯავახეთის მხარეში რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშებიდან აღდგენილი უნდა იქნას ახალციხის წითელი დოლის პური, ხოლო ხორბალ დიკას ჯიშ-პოპულაციიდან ჯავახეთის დიკა. გარდაბნისა და მარნეულის და აგრეთვე თეთრი წყაროს დაბლობი ზონის პირობებისათვის მაგარი ხორბლის ჯიშები _ შავფხა და თავთუხი 19/28. კახეთის მხარეში რბილი ხორბლის ჯიშებიდან აღდგენილი უნდა იქნას გომბორულა, რაჭულა, ლაგოდეხის გრძელთავთავა. ქართულის ორივე მხარის ფერდობებზე დასათესად აღდგენილი უნდა იქნას ქართლის წითელი და თეთრი დოლის პური, დოლის პური 35-4, დოლის პური 18-46. დასაშვებია მაგარი ხორბლის ჯიშები _ შავფხა და თავთუხი 19/28. იმერეთის ზონაში ხორბლის დოლის პური, რაჭა-ლეჩხუმში თეთრი იფქლი.

– თქვენ სამამულო და უცხო ქვეყნების მეცნიერები სამართლიანად გიწოდებენ ქართული ხორბლის მამას. რა უნდა გაკეთდეს გაქრობის პირას მისული საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობებისა და აბორიგენული ჯიშების აღდგენისა და შენარჩუნებისათვის?

_ ამჟამად, საქართველოს ხორბლის ოქროს ფონდს გაქრობა ელის. არ გვხვდება მათი წარმოშობისა და ჩამოყალიბების ადგილებზე. ქართული ხორბლის სახეობებისა და ჯიშების მათი წარმოშობის ადგილებზე აღდგენისათვის, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების პარალელურად, გარკვეული წვლილი ფერმერებმაც უნდა შეიტანოს, უნდა გამოცხადდეს ცოცხალ კულტურულ ძეგლებად და დათვალიერების ობიექტებად იქცნენ. უნდა შეიქმნას ნაკრძალები. უნდა შემოვკრათ განგაშის ზარები. ამიტომ ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული საუნჯე, უნდა იზრუნოს ენდემური სახეობებისა და ჯიშების გადარჩენისათვის, რადგან მათში ჩაქსოვილია ქართველი ხალხის სიბრძნე და გამოცდილება. თითოეული სახეობა თუ ჯიში ცოცხალი ძეგლია, თითოეული მათგანი მარგალიტია, ოქროს ზოდებია, რომლის მსგავსიც კაცობრიობას,ჯ ერჯერობით, არ შეუქმნია. ისინი წარმოადგენენ ძვირფას და უშრეტ გენეტიკურ წყაროს ოცდამეერთე საუკუნეში და შემდგომ მსოფლიო მნიშვნელობის ხორბლის ახალი ჯიშების მისაღებად. ამასთანავე, ვთვლი, რომ ზოგიერთი ჯიში ფერდობებზე თესვის პირობებში საკმაოდ მაღალი და მყარმოსავლიანია, ახასიათებს ეკოლოგიურად სუფთა პურცხობის ძვირფასი თვისებები.

მტკიცება იმის შესახებ, რომ ქართული ხორბალი, თითქოს დაბალხარისხიანია, სინამდვილეს არ შეეფერება.

ინტერვიუს უძღვებოდა
ლეილა ცომაია

გიორგი ქართველიშვილის შურისგება და გოდება



მე-20 საუკუნის ერთ-ერთი დიდი ქართველი პატრიოტი, ექიმი, პოეტი და პუბლიცისტი გიორგი ქართველიშვილი 70-იანი წლების პირველი დისიდენტი იყო, რომელმაც საბჭოთა იმპერიალისტური რეჟიმისადმი სიძულვილის და პროტესტის ნიშნად იძულებით დატოვა სამშობლო და 1973 წელს ისრაელში გადაიხვეწა. იგი, როგორც პოლიტემიგრანტი ისრაელის ცენტრალური ქალაქებიდან შორს, პალესტინის საზღვართან მდებარე დასახლებაში, ქირიათ-შმონაში ჩაასახლეს. მას საბჭოთა იმპერიისადმი სიძულვილი, არც ემიგრაციაში ასვენებდა 1979 წელს დაწერილ ლექსში შურისგებითა და რწმენით წერდა: "დადგება დრო და საქართველოში რუსეთის ფესვი ამოითხრება!". 1989-90 წლებში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის აზვირთებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, მის ოცნებებს ფრთები შეასხა. ამიტომაც გულმხურვალედ ქომაგობდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას, რომელსაც დეპეშებს-დეპეშებზე უგზავნიდა: "ბატონო პრეზიდენტო! ნამდვილი, ქართული, ეროვნული სულის პრეზიდენტო! უნდა გაიმარჯვოთ!... დავით აღმაშენებლის მარჯვენით ამოძირკვეთ, ამოშანთეთ ყველა ისინი, ვინც თავისი ბოროტგანზრახული საქმიანობით, ლიპარიტული ვერაგობით და შადიმანისეული გაიძვერობით, დღეს საქართველო უფსკრულში გადაჩეხა!" აგენტურულ ოპოზიციასა და იმპერიალისტურ ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება დამარცხდა და გაგრძელდა გიორგი ქართველიშვილის მტანჯველი გოდებაც, მაგრამ თავისი ქვეყნის პატრიოტს უცხო მიწაზე არ სურდა სიკვდილი. იგი 2006 წლის იანვარში დაბრუნდა საქართველოში და 2007 წლის აპრილში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. (დაკრძალულია დიღმის სასაფლაოზე). ისრაელში მას, არც მოქალაქეობა მიუღია და არც ოჯახი შეუქმნია. იგი იყო ქომაგი არა მარტო თავისი ქვეყნისა, არამედ კულტურის და მწერლობისაც. მან ისრაელში ქართულ ენაზე გამოსცა ოთხი წიგნი, რომელიც მის ემიგრანტულ ცხოვრებას და შემოქმედებას ასახავს.

ქვემოთ გთავაზობთ გიორგი ქართველიშვილის პოლემიკას ზარეცკისთან, რომელიც დაიბეჭდა ისრაელში გამომავალ რუსულენოვან გაზეთ "ნაშა სტრანა"-ში (9.X.1980წ.)

"შოთა რუსთაველი — ქართველი ხალხის სიამაყე, დოვა გაპონოვი — შესანიშნავი ძველია ებრაული ხალხისა"

როცა აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ გაიგო, სომხები ამბობენ, შოთა რუსთაველი სომეხი იყოო (თითქოს, შოთა აშოტი იყოს), მან დაცინვით წამოიძახა: "თუ შოთა აშოტია, ტარიელი-ტიგრანია, ავთანდილი კი — არუთინი?" უფრო სწორად "სომეხმა აშოტმა" თავის გმირებს, რატომ არ დაარქვა სომხური სახელები და მაინცდამაინც ქართული შეურჩიაო?

ამ პერიფრაზირების შემდეგ მსურს, ბატონ ზარეცკის ვკითხო: თუ შოთა შაბთაია, ტარიელი რატომ არ არის არიელი, ავთანდილი — ავიდანი; ფრიდონი კი — ფრიდმანი?

გასაოცარია! სომხების პრეტენზიების შესახებ გაგონილი მქონდა, მაგრამ შოთა რუსთაველში ებრაელებიც თუ თავის თანამემამულე ვინმე "შაბთაიას" ეძებდნენ, პირველად გავიგე!

საერთოდ, რა საჭირო ამგვარი უღირსი გამონაგონი, როცა თვითონ ჭეშმარიტება არ იწვევს და არც შეიძლება გამოიწვიოს რაიმე ეჭვი ნებისმიერ განათლებულ ადამიანში? არ მესმის, რა მიზანი ჰქონდა ბატონ ზარეცკის, როცა თავისი ცნობილი თანამემამულის დოვა გაპონოვის ხსოვნის საღამოსთან დაკავშირებულ სტატიაში მსჯელობათა მღვრიე ქაფი გადმოაფრქვია?

მარტო მისი ცილისმწამებლური მტკიცებანი რად ღირს, რომ, თითქოს, "ჩვენს დროში თვით პოეტის სამშობლოში, საქართველოში, თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს შეუძლიათ მისი ორიგინალში წაკითხვა", რომ, თითქოსდა, "ვეფხისტყაოსანი" შექმნილია უძველს, ახლა უკვე არქაულ ქართულ ენაზე, რომელიც თითქმის მიუწვდომელია დღევანდელი თაობისთვის".

ეს სიცრუეა, ბატონო ზარეცკი! შესაძლოა, თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები ვერ კითხულობენ პოემას "ორიგინალში", როგორც თქვენ წერთ, რადგან "ვეფხისტაყოსნის" "თარგმანი" ძველი ქართულიდან თანამედროვე ენაზე არ არის და არც შეიძლება არსებობდეს. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კი, ყოველ შემთხვევაში იმათ, ვისაც დაწყებითი განათლება მაინც მიუღია (ჩვენთან წერა-კითხვის უცოდინარები არ არიან!), არა მარტო წაუკითხავს და იცნობს "ვეფხისტყაოსანს", არამედ, მთელი ცხოვრების მანძილზე გრძნობს მის გავლენას. თითეულ ქართველს პოემის აფორიზმები პირზე აკერია, რომ არაფერი ვთქვათ რუსთველისეული სიყვარულისა და მეგობრობის და გულუხვობის, მისი გმირების სხვა ურიცხვი დადებითი თვისებების მუდამ მაგალითად მოყვანაზე.

რაც შეეხება "ვეფხისტყაოსნის" არქაულ ქართულ ენას", როგორც თქვენ წერთ, რუსთაველის ძალა სწორედ იმაშია, რომ მისი ენა და ამ ენით გამოხატული აზრები მუდამ თანამედროვეა და არა მარტო მიაბიჯებს ეპოქასთან ერთად, არამედ უსწრებს კიდეც მას. ამასთან დაკავშირებით მსურს, პოემის ბოლო სტროფი მოვიყვანო. სამ სახელმწიფოში, სადაც სამი მეგობარი — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მეფობდა:

"ყოვლთა სწორად წყალობასა თვითა თოვლი მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს".

ამ "არქაულმა" ენამ, ბატონო ზარეცკი, წინ გაუსწრო არა მარტო თავის ეპოქას, არამედ ჩვენსასაც. მე და თქვენ ხომ ჯერ კიდევ შორს ვართ რუსთაველის იდეალებამდე! აი, თქვენმა, და არა მარტო თქვენმა, არამედ ჩვენმა თანამემამულემ კი, ებრაელი ხალხის ცნობილმა შვილმა, დოვა გაპონოვმა თავისი ფაქიზი გულით, სულითა და ინტელექტით, არა მარტო აღიქვა, შეითვისა რუსთაველის ენა, სული და აზრები, არამედ, ერთი შეხედვით, შეუძლებელი შეძლო — ძველი და ისიც არამშობლიური ენიდან პოემა თარგმნა უძველს, ფაქტობრივად, მისთვისაც არა მშობლიურ, არამედ თავისი ხალხის აღორძინებულ, ისტორიულ ენაზე. ეჭვი არ მეპარება, რომ დოვა გაპონოვი არ მიიჩნევდა შოთა რუსთაველს "აშოტად" და "შაბთაიად!" მართლაც, რატომ უნდა ჰგონებოდა? ვინ-ვინ, მან კი კარგად იცოდა და მთელი არსებით გრძნობდა რუსთაველის თითოეული სიტყვის მნიშვნელობას. რაიმე არაქართული, უცხო აღმოაჩინა მან მათში? განა, რუსთაველი არ უმღერის ქართველი დედოფლის სილამაზესა და საქმეებს, ქართველ გმირთა გმირობას? განა, ქართველთა ხასიათსა და ჩვეულებებზე, მათ ერთგულებაზე, მამაცობასა და სამართლიანობაზე, გულუხვობასა და დიდსულოვნებაზე, ბოროტებასთან შეურიგებლობაზე არ მეტყველებს? განა, სადმე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიუთითებს რუსთაველი თავის არაქართულ წარმოშობაზე? პირიქით, იგი ყოველთვის ხაზს უსვამს თავის კუთვნილებას საქართველოსა და ქართველებთან.

"მე რუსთველი ხელობითა, ვიქმ... " იწყებს იგი, რუსთველი! დიახ, საქართველოში არის ორი სოფელი "რუსთავი" (და არა რუსთაველი, როგორც თქვენ წერთ), მაგრამ ორივე სუფთა ქართულია და სხვა არაფერი. ნუთუ, ასეაო. მნიშვნელოვანია, ისრაელის რომელ კუთხეში დაიბადება ებრაელი? ასევე არა აქვს მნიშვნელობა, სად დაიბადა რუსთაველი — მესხეთისა თუ ქართლის რუსთავში. მთავარია, რომ იგი საქართველოში და ქართველად დაიბადა, რადგან წერს: "ვწერ ვინმე მესხი მელექსე". და იგი წერს ქართულ ენაზე, უმღერის ადამიანის მაღალ იდეალებს, თავისი ხალხის სულის წიაღიდან ზნეობრიობის ნორმებს იღებს. აბა, სხვა ეროვნების რა ორეულები მოვუძებნოთ? მესხი ისეთივე ქართველია, როგორც ჯავახი, კახელი, რაჭველი, გურული, მეგრელი, აჭარელი და აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი ყველა ქართველები არიან სხვადასხვა სათავადოებიდან, რომლებიც სამუდამოდ გააერთიანა ქართველთა მეფეთაგან უდიდესმა — დავით აღმაშენებელმა. სწორედ იმან, ვინც თავისი გენიალური ჭკუითა და მძლავრი მარჯვენით საქართველო გადააქცია იმ დროის უძლიერეს და კულტურულ სახელმწიფოდ, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ არა მარტო მეზობელი, არამედ შორეული ქვეყნებიც. რა აბსურდამდე შეიძლება მიხვიდე ცნობილი ადამიანების სახელობის სქოლასტიკური მანიპულაციებით! შოთა — აშოტი, შოთა — შაბთაი, დანტე — დანტონი და ასე, რამდენიც გნებავთ.

ქართული აღორძინება და რენესანსი ორ საუკუნეზე მეტი ხნით უსწრებს დასავლეთის რენესანსს. ეს ფაქტია და არა გამონაგონი! ამის დადასტურებაა შოთა რუსთაველის "ვეფხისტაყოსანიც". ასე, რომ ანტიკურობასა და იტალიურ რენესანსს შორის, როგორც მსოფლიო ისტორიის ზოგიერთი განმმარტებელი ფიქრობს, სიცარიელე კი არა, ქართული აღორძინებაა ევროპის აღმოსავლეთით.

შოთა რუსთაველი თავისი უკვდავი პოემით აღორძინების მხოლოდ მწვერვალია, მწვერვალი კი უსაფუძვლოდ არ არსებობს. და რუსთაველი სწორედ თავის ცნობილ წინამორბედებს აღფრთოვანებით მოიხსენიებს პოემის დასასრულს, აქებს თავის მასწავლებლებს: ხონელს, შავთელსა და თმოგველს. სწორედ ისინი არიან ქართული ეროვნული აღორძინების, კულტურის, პოეზიის, საერთო ფილოსოფიისა და თავისუფალი აზროვნების აყვავების რაინდები. როგორც ხედავთ, აქ არ არის და არც ყოფილა ქართული სულისთვის უცხო, არც ერთი შტრიხი, არც ერთი ასო! საკითხავია, რაღად უნდა ვუცქიროთ ნათელს ეჭვით? თუ მისი წყარო ცნობილია?

როგორც ჩემთვის ცნობილია, სომხები შეეშვნენ რუსთაველის სომხური წარმოშობის ამაო მტკიცებას, რადგან რუსთაველისეული რომანტიკული მორალი ძალზე განსხვავდება სომხური ეროვნული ფილოსოფიისაგან. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ამღვრევენ ისტორიის ბობოქარი ნაკადებით შემორჩენილ დაწმენდილ წყალს. ახლა მათ თამარ მეფის მხედართმთავართა სომხური წარმოშობის ვერსია წამოაყენეს, ვითომდა, თამარის "სპასალარები" ზაქარია და ივანე მხარგრძელები სომხები იყვნენ და მხოლოდ ამის წყალობით იმარჯვებდა მისი ჯარი მტერზე. რუსები კი ძველებურად თავის ერთგულნი რჩებიან. ისინი ყველანაირად აქებენ სომეხთა ამ ვარაუდებს. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ მოსკოვის სამხედრო გამომცემლობა სომეხი ავტორის ასეთ ოპუსს ბეჭდავს, ნათელი გახდება: მოსკოვი შეგნებულად აღვივებს სიძულვილს სომეხ და ქართველ ხალხებს შორის, ილეთი ცნობილია: დაყავი და იბატონე! სამწუხარო, სომხები ძალზე ადვილად ეგებიან ამგვარ ანკესზე. "ყველა ვნება კარგია, როცა მათ ვფლობთ, ყველა საზიანოა, როცა მათ ვექვემდებარებით" (ჟ. რუსო).

თუ ამას დავუმატებთ, რომ "მეჭურჭლეთუხუცესი" (დედოფლის კულტურის მინისტრი) შოთა რუსთაველი, ვითომდა, სხვა ეროვნებისა იყო (ამჯერად შაბათია, როგორც ეს ზარეცკის სურს), გამოდის, რომ თამარ მეფის კარზე ყველა მნიშვნელოვანი პოსტი უცხო რჯულის ადამიანებს ეკავათ, "საწყალ" ქართველებს კი მხოლოდ ნაგვის მხვეტავებისა და დარაჯების ვაკანტური ადგილები რჩებოდათ. კმარა, ბატონებო! მორჩით, ისტერიულობას! ეს ღირსებას სულაც არ გმატებთ! ნაცვლად იმისა, რომ მომავალ ქართულ-ებრაულ მეგობრობას მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ (ამისთვის კი ყველა საფუძველი არსებობს), თქვენ ცდილობთ დამპალი საყრდენები შეუდგათ მას, რათა შეუძლებელი გახდეს მეგობრობის მტკიცე, ლამაზი სახლის აშენება.

საქართველოც, იქნება თავისუფალი! უეჭველად იქნება! ებრაელები 2000 წელს იცდიდნენ და ეღირსათ კიდეც. ჩვენ, ქართველები, მონობის მეორე საუკუნეს ვამთავრებთ, თუ არ ჩავთვლით 1917-1921 წლების სამწლიან თავისუფლებას. ჩვენც იმდენ ხანს დავიცდით, რამდენიც საჭიროა, მაგრამ აუცილებლად მოვესწრებით თავისუფლებას და მაშინ ქართულ-ებრაული ურთიერთობანი ამგვარი უღირსი გამოხდომებით არ უნდა შეიბღალოს!

გიორგი ქართველიშვილი
13.09.1980წ.
ქირიათ-შმონა

გიორგი ამაშუკელი

კოსოვო და მეტოხია – შავი შაშვისა და ეკლესიის მიწა – უსამართლობისა და სამართლიანობის ღაბირინთში

სერბეთის ავტონომიაში კოსოვოსა და მეტოხიაში,შექმნილი მდგომარეობა ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს აშფოთებს. როგორ გახდა ეს მხარე ასეთი დიდი პოლიტიკურ-სამართლებრივი კონფლიქტის წყარო? მისი ისტორიული წარსული კარგად აჩვენებს რომ სერბი ხალხი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული კოსოვოსა და მეტოხიასთან. აქ იყო მისი სულიერებისა და კულტურის ცენტრი. 1389 წელს კოსოვოს ველზე სერბეთი დამარცხდა ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლაში. ამ ომში სერბების გვერდით მაშინ ალბანელებიც იდგნენ. მხოლოდ 1912-1913 წლებში ბალკანეთის ომის შემდეგ დაუბრუნდა კოსოვო და მეტოხია სერბეთს. მეორე მსოფლიო ომის წლებში იუგოსლავია ოკუპირებული ჰქონდათ გერმანიას, იტალიას, უნგრეთსა და ბულგარეთს. ჰიტლერმა იხელმძღვანელა რა რომაული ცნებით "გათიშე და იბატონე". კოსოვოსა და მეტოხიაში მცხოვრები ალბანელებისგან დააკომპლექტა SS-ის დივიზია. ამ ქმედებით მან სცადა ანტაგონისტური მტრობის ჩამოგდება სლავებსა და ალბანელებს შორის. 1945 წელს ჰიტლერელი დამპყრობლების განდევნის შემდეგ იუგოსლავიის ლიდერმა ტიტომ, არ სურდა რა ამ მტრობის კიდევ უფრო გაღვივება, ხსენებული დივიზია განაიარაღებინა ალბანეთიდან გადმოყვანილ 2 პარტიზანულ დივიზიას. 1946 წელს მიღებული კონსტიტუციით კოსოვოსა და მეტოხიას ავტონომიური ოლქის სტატუსი მიენიჭა სერბეთის შემადგენლობაში. ომის შემდგომი იუგოსლავია აღდგენისა და რეკონსტრუქციის წლებში მეტწილად დაკავებული იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით, ძლიერი არმიის შექმნით, კულტურული რევოლუციით და საჭირო ყურადღებას ვერ აქცევდა იუგოსლავიის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე განუვითარებელ ავტონომიურ ოლოქს. შედეგად, 1968 წლის ნოემბერში, აქ მღელვარებებმა იჩინა თავი. 1969 წლიდან ტიტომ, ოლქში სოციალ-ეკონომიკური ცვლილებები დაიწყო, იუგოსლავიის ცენტრალურმა ხელისუფლებამ დიდი ფინანსური სახსრები და მატერიალური ფონდები გამოყო კოსოვოსა და მეტოხიისთვის, მაგრამ ოლქის საწარმოო ძალები განუვითარებელი იყო და ეს ფინანსები და ფონდები, სხვადასხვა კორუფციული სქემებით ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ფუნქციონერების ჯიბეებში აღმოჩნდა. 1974 წელს მიღებული კონსტიტუციით, კოსოვო და მეტოხია, ავტონომიური მხარე გახდა. მხარეში დაიწყო ალბანური დემოგრაფიული აფეთქება. იუგოსლავიის განვითარებული რესპუბლიკები (სლოვენია, ხორვატია) კი არ საჭიროებდნენ ალბანური ჭარბი მუშახელის მიღებას. გარდაიცვალა ტიტოც და 1981 წელს კოსოვოსა და მეტოხიაში კვლავ მღელვარებები დაიწყო. მის პირველ სტადიაზე მიტინგებზე გამოსულ სტუდენტებსა და მშრომელებს ხელში ეჭირათ პლაკატები "ძირს წითელი ფაშები!" ეს იყო სოციალური პროტესტი კორუმპირებული პარტიული და სამეურნეო ფუნქციონერების მიმართ. მაგრამ მოულოდნელად იგი ჩანაცვლდა პოლიტიკური ლოზუნგით "კოსოვო და მეტოხია იუგოსლავიის მე-7 რესპუბლიკაა". იუგოსლავიის ცენტრალურმა ხელისუფლებამ კვლავ გამოყო დიდი ფინანსური სახსრები და სხვა მატერიალური ფონდები, დაიწყო მნიშვნელოვანი ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ამას თან დაერთო შიდა სახელისუფლებო კონფლიქტი ალბანეთში (ენვერ ხოჯამ დაამარცხა მეჰმედ შეხუ, რომელმაც შემდგომ თავი მოიკლა). 1983 წლისთვის მხარეში დაძაბულობა დროებით მინელდა. მაგრამ 1988 წლიდან, როცა დაიწყო სოციალისტური სისტემის რღვევა, კოსოვოსა და მეტოხიაში კვლავ მღელვარებებმა იჩინა თავი. იუგოსლავიის იმჟამინდელმა ლიდერმა მილოშევიჩმა პასუხად მხარეს გაუუქმა ის პრივილეგიები, რაც მიიღო 1974 წლის კონსტიტუციით.



ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცოგოვინას ომისა და დეიტონის შეთანხმების შემდგომ კოსოვოსა და მეტოხიის რიგიც დადგა. 1997 წელს ალბანეთში დაემხო "დემოკრატ" სალი ბერიშას რეჟიმი, ალბანეთმა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის რიგები დატოვა. კოსოვოსა და მეტოხიაში მოქმედება დაიწყო "კოსოვოს განთავისუფლების არმიამ", რომელმაც ინდივიდუალური ტერორი გააჩაღა. მილოშევიჩმა მხარეში ჯარი შეიყვანა და 1999 წლის დამდეგისთვის პრაქტიკულად სრული ნეიტრალიზაცია მოახდინა ალბანელ სეპარატისტთა ტერორიზმისა. 1999 წლის იანვარში ქ. რამბუიეში (საფრანგეთი) მილოშევიჩსნატოს წარმომადგენლებმა მოსთხოვეს მხარიდან სერბული ადმინისტრაციისა და ჯარის გამოყვანა. მილოშევიჩმა უარით უპასუხა და მარტში NATO-მ დაიწყო საჰაერო-სარაკეტო დარტყმები იუგოსლავიაზე (სერბეთი, ჩერნოგორია). ივნისში მილოშევიჩი დათანხმდა NATO-ს მოთხოვნას, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ¹1244, რომელიც პრობლემის მოგვარებას სერბეთის ტერიტორიული ერთიანობის დაცვის საფუძველზე განსაზღვრავდა. მხარეში სამშვიდობო მისიით განლაგდა NATO-ს 17 ათასიანი კონტინგენტი, სამართავად კი შევიდა გაეროს მისია. კოსოვოსა და მეტოხიაში დღეს ქართული კონტინგენტიცაა განლაგებული (180 ჯარისკაცი). მათი დისლოკაციის ადგილია ქ. პრიზრენი (ალბანეთის საზღვართან ახლოს), სადაც მხოლოდ ალბანელები და მცირე რაოდენობით თურქები ცხოვრობენ. ერთი ქართული ოცეული თურქულ ბატალიონში შედის, ერთი ასეული გერმანულ ბრიგადაში.

1999 წლის ივნისის შემდგომ კოსოვოსა და მეტოხიაში დაიწვა და დაინგრა 150 ეკლესია და მონასტერი (მართლმადიდებლური) მხარე იქცა ნარკოტიკების ტრანზიტის ცენტრად, "გაიფურჩქნა" ტრეფიკინგი, სამაგიეროდ, უმუშევრობამ მოხსნა მსოფლიოს ყველაზე დიდი რეკორდები. მხარეში განხორციელდა სერბთა ეთნიკური წმენდა, 250 ათასზე მეტი სერბი განიდევნა მშობლიური სახლებიდან, განსაკუთრებით დიდი დარბევები მოაწყეს 2004 წლის მარტში. ბალკანეთში ალბანური სეპარატიზმი დესტაბილიზაციის მთავარ იარაღად იქცა. 2007 წლისთვის ნათელი გახდა, რომ არ აპირებდნენ სერბთა მშობლიურ სახლებში დაბრუნებას. მალე გამოცხადდა, რომ ფინეთის ყოფილი პრეზიდენტის მარტი ახტისაარის ეგიდით შემუშავდა გეგმა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით გავდა ჰიტლერის გეგმით შექმნილ ე. წ. "ბოჰემიის სახელმწიფოს" (1938-1939 წლებში ღალატით დაშლილი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე). "დამოუკიდებელ კოსოვოში" იგზავნებოდა ევროკავშირის რეზიდენტი და 2000 კაციანი კონტინგენტი (მოსამართლეები, მებაჟეები, პოლიციელები), მას არმიის მაგივრად ეყოლებოდა მხოლოდ 6000 კაციანი დაცვის კორპუსი, რაც ცხადყოფდა, რომ იქმნებოდა ევროკავშირის პროტექტორატი. ამ გეგმამ ალბანელ ნაციონალისტებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. 2008 წლის 17 თებერვალს მიღებულ იქნა კოსოვოს "დამოუკიდებლობის" დეკლარაცია. მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოელი ალბანელები მუსულმანები არიან, "დამოუკიდებლობის" დეკლარაციაში ერთხელაც არაა ნახსენები ალაჰის მწყალობელი სახელი (მაშინ, როცა ყველა მუსულმანური ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებულია ალაჰი).

მარტო ახტისაარის გეგმით შექმნილი "კოსოვოს დამოუკიდებელი სახელმწიფო" საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით დიდ საფრთხეს უქმნის ყველა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, დაირღვა 1975 წლის ჰელსინკის შემაჯამებელი აქტი, გაეროს უშიშროების საბჭოს 1999 წლის რეზოლუცია ¹1244, სუვერენული სერბეთის კონსტიტუცია. შეიქმნა პროტექტორატი, სადაც ხალხზე ჩატარდება იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპერიმენტები. პოლიტიკურ-სამართლებრივმა ავანტურიზმმა მძაფრი პოლიტიკურ-დიპლომატიური დაპირისპირება შექმნა სახელმწიფოთა შორის, რადგან სერბეთი მძაფრ დიპლომატიურ ზომებს იღებს იმ ქვეყნების მიმართ, ვინც სცნო კოსოვოს "დამოუკიდებლობა".

მარტი ახტისაარის გეგმით შექმნილ ევროპის კავშირის პროტექტორატში დღეს სისხლი იღვრება, რადგან არა მარტო სერბეთი, არამედ, ადგილობრივი სერბებიც არ აპირებენ შეეგუონ სამშობლოს გახლეჩას.

ისტორიული პარალელები ამერიკის იმპერიალისტური პოლიტიკის შესახებ

აშშ-ი ყოველმხრივ ცდილობს სერბეთის რესპუბლიკას მოსწყვიტოს კოსოვოსა და მეტოხიის ავტონომიური მხარე.

აშშ-ს ისტორიაში ანალოგიურ ქმედებას არა ერთხელ ჰქონია ადგილი. ყველაზე მსგავსი კი უკავშირდება იბეროამერიკას, კერძოდ პანამას. 1903 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა კოლუმბიის რესპუბლიკას ულტიმატუმის წესით მოსთხოვა ეროვნულ ტერიტორიაზე _ პანამის ყელზე არხის გაჭრისა და მისი 100 წლით ერთპიროვნულად მართვის უფლება. 1903 წლის აგვისტოში კოლუმბიის სენატმა უარყო აშშ-ს ულტიმატუმი. საპასუხოდ აშშ-ს პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწია სეპარატისტებს პანამის ყელზე, კოლუმბიის სანაპიროები დაბომბა აშშ-ს სამხედრო ფლოტმა, ხოლო პანამის ყელზე შეიჭრა აშშ-ს საზღვაო ქვეითი ჯარი. 1903 წლის 3 ნოემბერს გამოცხადდა პანამის "დამოუკიდებლობა". აშშ-მ ცნო "დამოუკიდებელი" პანამა და 1903 წლის 18 ნოემბერს მის "ხელისუფლებასთან" დადო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად პანამა აშშ-ს სამუდამოდ უთმობდა პანამის არხზე 16,1 კილომეტრის სიგანის ზოლს და მასში მოქცეულ ყველა კუნძულს, კომპენსაციის სახით პანამა აშშ-სგან იღებდა ერთჯერადად 10 მილიონ დოლარს და ყოველწლიური იჯარის სახით 250 ათას დოლარს. ხელშეკრულება ადეგნდა, რომ მისი გადასინჯვა მოხდე-

ბოდა მხოლოდ 1977 წელს. პანამელთა არა ერთი მცდელობა ამ ვადამდე გადასინჯული ყოფილიყო ეს კაბალური ხელშეკრულება, აშშ-ს ყველა პრეზიდენტის მხრიდან კატეგორიულ უარს აწყდებოდა. 1977 წელს პანამის იმჟამინდელმა ლიდერმა, გენერალმა ომარ ტორიხოსმა აშშ-ს პრეზიდენტ ჯიმი კარტერთან მიაღწია მორიგებას, რომ პანამის სუვერენიტეტი არხზე აღსდგებოდა. ომარ ტორიხოსს ეს მორიგება სიცოცხლის ფასად დაუჯდა, იგი 1981 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა, ხოლო ჯიმი კარტერი პოლიტიკურად მოკლეს; იგი არა მარტო "დაამარცხეს" საარჩევნო ბრძოლაში, არამედ სრულიად გარიყეს კიდეც. აშშ-ს პოლიტიკური სივრციდან (საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიისას გაძარცვეს მისი საარჩევნო შტაბი, ირანში მძევლად აყვანილი დიპლომატების განთავისუფლების ოპერაცია უაღრესად დაბალ დონეზე დაიგეგმა, რასაც მისი კრახი მოჰყვა). ჯამი კარტერი შემდგომ მხოლოდ "სუსტის" რეპუტაციით სარგებლობდა და პოლიტიკური საქმიანობა ველარ აწარმოა.

ისევე როგორც პანამა, კოსოვოც იმპერიული პოლიტიკის შედეგია, აშშ-ს სტრატეგიული მიზანია _ "ევროპის ყველაზე რბილ თაფხუნში" (უინსტონ ჩერჩილის ტერმინი) _ ბალკანეთში უძლიერესი სამხედრო ბაზის გახსნა, საიდანაც იგი თავისუფლად გააკონტროლებს ყველა მიმდებარე რეგიონს. კოსოვოსა და მეტოხიის პრობლემის "დამოუკიდებელი სახელმწიფოს" შექმნით გადაწყვეტა აშშ-ს უხსნის პოლიტიკურ პრობლემას და სერბული წინააღმდეგობის მთელ ნაკადს ევროკავშირისკენ მიმართავს. კოსოვოს და მეტოხიის სერბეთისგან ჩამოცილება უსამართლობაა, ძალა კი ხნავს აღმართს, მაგრამ სამართალი, მოვა დრო და იზეიმებს.

საქართველო გაბრწყინდება!

(მიძღვნა სასიქადულო მამულიშვილებს: მამანტი და ცირა ძაძამიებს, ვლადიმერ ვახანიას)

ღვთის კაცად მიჩნეულ სტუმარს, ხევსურეთს, სადაც უფროს-უმცროსობის ტრადიციით სტუმრად ოჯახში შესულ მეზობლის ბიჭსაც ფეხზე წამოუდგებოდნენ უხუცესნი, ხოლო ახალგაზრდები ჩქამს არ გაიღებდნენ უფროსების თანდასწრებით, უფროსთაგან გამოწვევის გარეშე. დუმილის უნარით იზომებოდა ადამისძის ღირსება. ხევსურების ყოფიერებაში სხვა ქართველ თუ ქართველური მოდგმის ტომებს შორის ყველაზე უკეთ იყო შენახული უძველესი საქართველო — პატრიარქატული და იმავდროულად მატრიარქატული, რელიეფისა და კლიმატისაგან კარჩაკეტილი, კუთხე პაწია, მაგრამ სასწაულებრივი მემკვიდრეობის, კუთხე საქართველოსი, სადაც ვიდრე კაცობრიობა ლაზერის სხივით ხელს შეახებდა ადამიანის ტვინს საოპერაციოდ, საუკუნების წინ მარტივი იარაღებით ახერხებდნენ ოპერაციას; კუთხე, სადაც პასტერისაგან ცოფის საწინააღმდეგო შრატის გამოგონებამდე საუკუნებით ადრე ფლობდნენ ცოფის საწინააღმდეგო წამლის საიდუმლოს. საოცარი იყო ხევსურის ქალისადმი დამოკიდებულება. ქალ-ვაჟს ერთიმეორე რომ მოეწონებოდათ, ქალი თამამად მიდიოდა საქმროდ ოჯახში, ერთ წლამდე შეიძლებოდა დარჩენილიყო სარძლო საქმროს ოჯახში, მაგრამ არათუ ერთად წოლა-დგომა, განმარტოებაც კი მიუღებელი იყო. თუ ქალ-ვაჟს შორის რაიმე შეუთავსებლობა იჩენდა თავს, ქალი ტოვებდა საქმროს მიჩნეულის ოჯახს და ბრუნდებოდა მამის სახლში, თუ არადა უბიწოებას ინარჩუნებდნენ ქორწინებამდე. სტუმრად მისული ვაჟკაცი ქალწულს ვაჟკაცად რომ მოეწონებოდა, ან ვაჟას — ქალწული — ნანდაურად, მალე გაჩნდებოდა ელჩი (შუამავალი) და მათ ერთად დაწოლას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, ოღონდ შუაზე ალესილი ხმალი იდებოდა და ვაჟს წელს ქვემოთ არაფერი ესაქმებოდა, შემდგომში მათი შეუღლება გამორიცხული იყო, ისინი ოჯახების შექმნის შედეგადაც არ ივიწყებდნენ ერთიმეორეს და ვაჟს ევალებოდა ძნელბედობისას დასავით დაეცვა ნანდაური. ალბათ, ეს ტრადიციები ჰკვებავდა ხევსურის რაინდულ სულს. ბავშვი, როგორც კი ფეხს აიდგამდა, მაშინვე იწყებოდა მისი მეომრად წვრთვნა და ვარჯიში. ეს ყველაფერი ერთად აღებული ხევსურ მამაკაცსაც და დედაკაცსაც მძიმე ხასიათს უყალიბებდა, მძლავრ ინდივიდებად ყალიბდებოდნენ. აი, რატომ იყო, რომ საქართველოს (იბერიის) დამლაშქრავი პომპეუსი განაცვიფრა სამასი არაგველისაგან დადგმულმა ცეკვა "ფარიკაობამ", ლამის ოცდაერთი საუკუნის წინათ; ხოლო დამოუკიდებელი საქართველოსთვის გადახდილ უკანასკნელ დიდ ომში ისლამის მხედრობა ასევე განაცვიფრა სამასმა არაგველმა, თითოეული მათგანი ციხესიმაგრედ რომ იქცა და განგმირვამდე მრავალი მომხდური გაიძლოლა.

გაზეთ "ასავალ დასავალში" წაკითხული, ამ წერილის ადრესატი მამულიშვილების ("მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათა წარმომავლობა წერილზე ფიქრები ჰკვებავდა. ვერ მოვისვენე, ვიდრე კალამს არ მოვკიდე ხელი. ვიცი, ენათმეცნიერთაგან მრავალი კადნიერებად ჩამითვლის იმ პრობლემბზე მსჯელობას, რომელიც ენათმეცნიერების სიღრმეში წვდომასა და წრფელ გულს მოითხოვს, მაგრამ მამანტი და ცირა ძაძამიების მასშტაბის ენათმეცნიერები (რასაკვირველია დღეს თუ გვყავს) ალბათ მომიტევებენ კადნიერებას და მაინც ჩაიკითხავენ მოხუცი ქართველის მოსაზრებას ამ დიდ ეროვნულ მოვლენაზე.

სასიქადულო მამულიშვილები ხელშესახებს ხდიან აზრს, რომ ქართველური ენები: მეგრულ-ლაზური, ჭანური და სვანური ენები სიტყვაწარმოქმნის გრამატიკული საშუალებებით ათ მილიონ ლექსიკურ ერთეულს წარმოქმნიან და მათ სრულ განმარტებით ლექსიკონებს 2000 ტომეული დასჭირდებოდა. ისინი თვალნათელს ხდიან, რომ თვით ქართულის შემდგომი განვითარებისათვის, მოძალებული უცხოური სიტყვებისაგან განთავისუფლებისათვის, სხვათა ენებში ქართული ენის აღრევისაგან თავდაცვისათვის დაუშვებელია ამ უდიდეს ეროვნულ განძზე უარის თქმა. ქართულ სკოლებში უნდა ისწავლებოდეს მეგრული და სვანური, იგი უნდა ისწავლებოდეს ქართული ენის შიგნით და არა მის გვერდით. ესე იგი მეგრული ენისა და სვანური ენისათვის უნდა გაიხსნას ქართულ სალიტერატურო ენაში შეღწევის გზა. ქართულ ენათმცოდნეობაში არის საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ქართული ენა წარმოშობილია კოლხურის რეფორმის გზით და იგი მიესადაგა ქრისტიანიზაციის ეპოქას, ბიბლიის თარგმნის საჭიროებას. ენის რეფორმა არ იყო ერთჯერადი აქტი, იგი საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა. მაგრამ ახალი ქართული ენის ჩამოყალიბების პროცესში, როცა ქართულ ენაში მომძლავრდა სპარსული, არაბული, მონღოლური, თურქული და ბოლოს რუსული ლექსიკური ერთეულები, ფაქტობრივად დაიხშო მეგრულისა და სვანურისათვის სალიტერატურო ენაში დამკვიდრების გზა, ანუ შეწყდა ენის რეფორმა. მეგრული და სვანური ენების ქართულის შიგნით სწავლების მცდელობა სხვა არა არის რა თუ არა ქართული ენის

გაგრძელება მე-17 გვ.

ცეცხლი, სისხლი და ცრემლები
(20 წლიანი ტრაგედია ყარაბაღში)

სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების კერების გაღვივება "პერესტროიკად" წოდებული პოლიტიკის სტრატეგიული ხაზი იყო. ძალზედ ყურადსაღებია კონფლიქტი მთიან ყარაბაღში, რომელმაც ფუნდამენტალურად გახლიჩა კავკასია.

1988 წლის 11-12 თებერვალს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საბჭომ, აზერბაიჯანის სსრ ხელისუფლების წინაშე, დასვა პოლიტიკურ-სამართლებრივი მოთხოვნა რეგიონის სომხეთის სსრ-სადმი შეერთების შესახებ. 13 თებერვალს ოლქში განლაგდა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების დივიზია. აღნიშნული შენაერთი სრულიად საკმარისი იყო რათა არ მომხდარიყო კონფლიქტები ოლქისა და მიმდებარე რაიონების სომხურ-აზერბაიჯანულ მოსახლეობას შორის, მაგრამ 20 თებერვლიდან დაიწყო პირდაპირი შეხლა-შემოხლა ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის. 21 თებერვალს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება "მთიანი ყარაბაღის მოვლენების შესახებ", რომელმაც არათუ განმუხტა, არამედ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. 22 თებერვალს მთიან ყარაბაღში ჩავიდნენ სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცკ-ს მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი და სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წერვობის კანდიდატი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ნ. დემიჩევი. 23 თებერვალს მათ ქ. სტეპანაკერტში გამართულ ოლქის სომხური მოსახლეობის მიტინგზე, მრავალმნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთეს და დიდი დაპირებები გასცეს. 26 თებერვალს კი აზერბაიჯანის ტელევიზიით გამოსვლისას გ. პ. რაზუმოვსკიმ უკვე აზერბაიჯანის მხარდამჭერი პოზიცია გამოიხატა და წაიკითხა სკკპ ცკ-ს გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიმართვა, სადაც იგი "ამ განსაცდელის წინაშე საბჭოთა ინტერნაციონალიზმის დაცვისკენ მოუწოდებდა". ორივე მხარე დაიმედებული, რომ მოსკოვი სიმპატიითა განწყობილი მათი პოზიციისადმი, სულ უფრო და უფრო ეფლობოდა კონფლიქტში.

1988 წლის 21 მარტს მ. ს. გორბაჩოვს უკვე აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმაც მიმართა, რომელიც მოითხოვდა მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შეერთებას.

1988 წლის 21 მაისს სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცკ-ს მდივანი იგორ ლიგაჩოვი ქ. ბაქოში აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას პლენუმზე საბჭოთა აზერბაიჯანის ურღვევობის დაპირებას გასცემდა, მაშინ როცა ქ. ერევანში სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცკ-ს მდივანი ალექსანდრე იაკოვლევი სომხეთის კომპარტიის ცეკას პლენუმზე ლენინის ციტირებას ახდენდა, რომ "თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს საკითხის

გადაწყვეტას არა ცენტრალური პარლამენტის, არამედ გამოყოფის მსურველი უმცირესობის პარლამენტის, სეიმის, რეფერენდუმის მიერ" (თხზულებათ სრული კრებული, გამოცემა IV, ტომი 19. გვ. 491).

1988 წლის 12 ივლისს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საბჭომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ოლქის აზერბაიჯანის სსრ-დან გამოყოფის შესახებ. მალე ამ გადაწყვეტილებას შეუერთდა ოლქის ჩრდილოეთით მდებარე სომხებით დასახლებული შაუმიანის რაიონი.

კონფლიქტი უკვე სრულიად უმართავ სტადიაში გადავიდა, მუშტი-კრივები შეწყდა და დაიწყო სროლა (ჯერ სანადირო თოფებითა და ძველისძველი შაშხანებით, რაც უკვე 1989 წლიდან ავტომატებმა და ტყვიამფრქვევება შეცვალეს).

1988 წლის 18 ივლისს ქ. მოსკოვში გამართულ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, ანდრია გრომიკოს თავმჯდომარეობით არათუ რაიმე გადაწყდა, არამედ კიდევ უფრო გართულდა მდგომარეობა. ერთადერთი პირი, ვინც სცადა ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების კონცეფციის წამოწევა, იყო ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე არნოლდ რუიტელი (დამოუკიდებელი ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი) საქართველოდან სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიულმის თავმჯდომარე პავლე გილაშვილი, რომელიც მხოლოდ მიხეილ გორბაჩოვის პანეგირიკით დაკავდა და პოეტი ირაკლი აბაშიძე, რომელმაც სენტიმენტალურ-რომანტიკული და არა პოლიტიკურ-სამართლებრივი სიტყვა წარმოსთქვა.

ყარაბაღი კი ამ დროს სულ უფრო და უფრო ეხვეოდა კონფლიქტის ბადეში. დაიწყო ეთნიკური წმენდები. ქ. სტეპანაკერტი დაიცალა აზერბაიჯანელთაგან, ხოლო ქ. მუშა _ სომხებისგან.

1988 წლის 27-29 თებერვალს აზერბაიჯანის ქ. სუმაგაითში მომხდარი ტრაგიკული მოვლენები კი გახდა სიგნალი სომხეთიდან აზერბაიჯანითა და აზერბაიჯანიდან სომხეთა მიგრაციისა და ხშირად იძულებითი გამოდევნის, მაგრამ 1988 წლის სექტემბრიდან. უკვე ეს პროცესი მყარ "რელსებზე" დადგა. საკუთარი სახლებიდან გამოდევნილი ადამიანები ორივე მხრიდან ათეულ ათასებს შეადგენდნენ და მათთვის ნათელი იყო რომ ეს მათი ტრაგედია დიდი პოლიტიკური სტრატეგიის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა.

1988 წლის 7 დეკემბრის დიდმა მიწისძვრამ სომხეთში დროებით შეაჩერა, ნოემბერში დაწყებული ფართომასშტაბიანი, მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით მიმდინარე შეხლა-შემოხლები, მაგრამ კონფლიქტის კერა უკვე ანთებული იყო.

1988 წლის 24 დეკემბერს ქ. სტეპანაკერტში ჩავიდა უკვე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი ანდრეი სახაროვი, მეუღლითურთ _ ელენე ბონერი (ალიხანიანი). მას თან ახლდნენ მოსკოვიდან და ლენინგრადიდან გალინა სტაროვიიტოვა (შემდგომ რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის პირადი მრჩეველი), ლეონიდ ბატკინი და ანდრეი ზუბოვი. მთიან ყარაბაღში ჩასვლამდე ეს ჯგუფი იმყოფებოდა ერევანსა და ბაქოში, სადაც მათ აზერბაიჯანის კოპარტის ცკ-ს პირველ მდივანს აბდულ-ხალილ ვეზიროვს მოსთხოვეს მიწისძვრით დაზარალებული სომხეთის რაიონებიდან მთიან ყარაბაღში სომეხთა ჩასახლება და საერთოდაც, ოლქის სომხეთთან მიერთება, რაზეც მათ კატეგორიული უარი მიიღეს. 1989 წლის 12 იანვარს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა მთიანი ყარაბაღის განსაკუთრებული მართვის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ა. ი. ვოლსკი. ყარაბაღის კონფლიქტი ომად იქცა. სამხრეთ კავკასია ცეცხლში, სისხლსა და ცრემლში გაეხვია.

დავით არაბიძე

დასაწყისი მე-16 გვ.

რეფორმის აღდგენის მცდელობა და ეროვნული ცნობიერების აღდგენას, შეუძლებელია, მოუძებნო უფრო მყარი საყრდენი.

ქართველ მოაზროვნეთაგან წარსულში მრავალი გრძნობდა ამ ქართველურ (იგივე უფლებით, მათ ქართულ ენასთან ერთად,შეიძლება ვუწოდოთ კოლხური) ენათა შინაგან, თვისობრივ კავშირებსა და ერთიანობას. ახლაც არაერთი სწავლული და ენათმეცნიერი დგას ამ პოზიციაზე. წლების წინათ ბატონმა ჯუნა (ჯუმბერ) კაკულიამ ძალზე საინტერესო წიგნები გამოსცა სათაურით: "საქართველოს ისტორიის ახლებური აღქმა". იქ მოტანილია აურაცხელი მასალა, რომელიც ცხადყოფს, რომ ქართული ენა რეფორმირებული კოლხურია. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში იმდენი კოლხიზმები გაგვიშიფრა ბატონმა ჯუმბერმა, რომ ფხოვი (ფშავ-ხევსურეთი), რომლის წიაღმაც. კვება ვაჟას უკვდავი სული, პომპეუსის ხანაში უთუოდ კოლხურად მეტყველებდა, შესაძლოა ვაჟა ინტუიციით გრძნობდა ქართული ენის განთავისუფლების დიალექტიკას, ამიტომაც ბრძანა "მე არცერთ ენას არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისაო".

და მაინც, რატომ აქტიურად არ ეხმაურებიან ეროვნული თვითმყოფობის რეაბილიტაციისკენ მიმსწრფი ამ დიდი მეცნიერებისა და მეცენატების (ვინც ამ გაძარცვულ და გაპარტახებულ ქვეყანაში სახსრები გამოძებნა მეცნიერთა ნააზრევის ტომეულებად ქცევისათვის და მკითხველამდე მიტანისათვის) მისწრაფებას საქართველოს გაბრწყინებისაკენ?! ალბათ იმიტომ, რომ დღევანდელ საქართველოს ხელისუფლებას მართავს არა წადილი ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენისა, არამედ მისი გადმონაშთების დანგრევისა და დამარხვისა.

კოლონიური ტიპის მკაცრი ცენტრალიზაცია, რომელიც საქართველოში რუსეთის გაბატონებასთან ერთად დამკვიდრდა კიდევ უფრო გაძლიერდა კომუნისტური მმართველობის დროს, ხოლო ამ ანტინაციონალმა ნაციონალებმა თვითმმართველობის ის ცალკეული და სუსტი ელმნტებიც ჩაკლეს, რომელიც კომუნისტების დროს გააჩნდათ ადგილობრივ მმართველობებს.

ჩვენი გადარჩენის გზა რეალური დემოკრატიისა და ყველა დონეზე თვითმმართველობის დაფუძნების გზაა, ქვეყნის რეგიონალური მოწყობის საფუძველი კვლავაც ეთნიკური ნიუანსი უნდა იყოს.

თუ ეროვნულ ენერგიას მივმართავთ არა რეგიონების ბუნებრივი ინტერესების წინააღმდეგ, არამედ მათი ინტერესების ხორცშესასხმელად, საქართველოში არასოდეს წარმოიშობა სეპარატიზმი, პირიქით, რეგიონებს შორის წარმოიშობა კეთილი ჯიბრი —†“‘—,‘ უფრო იმარჯვებს თავის მოსახლეობის სასიკეთოდ.

საქართველო თავისი არსებობის მანძილზე არაერთხელ მდგარა ყოფნა-არყოფნის უღელტეხილზე, — გადავრჩენილვართ, რაც მაძლევს იმედს, რომ საქართველო გადარჩება და გაბრწყინდება კიდეც!

იოსებ პატარაშვილი
მოხუცი ფხოველი

პატარკაციშვილის გარდაცვალება და ტელე „იმედში" გაჩენილი პრობლემები

მას შემდეგ, რაც 12 თებერვალს, ლონდონის საცხოვრებელ რეზიდენციაში გულის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, ტელეკომპანია „იმედს", ახალ მეპატრონედ, პატარკაციშვილის დეიდაშვილი ჯოზეფ ქეი გამოეცხადა. ეს ფაქტი მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორც ტელეკომპანიის ქართველი ხელმძღვანელობისთვის (ბიძინა ბარათაშვილი), ასევე პატარკაციშვილის ოჯახისთვისაც; მათ, საბუთების გაყალბებასა და მაქინაციებში დაადანაშაულეს თავიანთი ნათესავი და სარჩელი საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიტანეს.

52 წლის ბიზნესმენის (რომლის ფულადი ანგარიში, არაოფიციალური ინფორმაციით ოცდაერთ მილიარდ დოლარს შეადგენს), გარდაცვალებას წინ უძღოდა: პატარკაციშვილის ფულადი ანგარიშის დაყადაღება საქართველოს „სტანდარტ-ბანკში", რომლის მეპატრონეც თავად იყო, 2007 წლის 7 ნოემბერს მისი ტელეკომპანიის - „იმედის" - დახურვა საქ. შს. სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრით, მისი დადანაშაულება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში (აუდიო ჩანაწერების ტელეარხებით გავრცელება), 11 თებერვალს, გრიბოედოვის ქუჩაზე მისი პარტიული ოფისის გაძარცვა, ხოლო, ბოლოს ტელეკომპანია „იმედის" პოლიტიკური გადაცემების დირექტორის გიორგი თარგამაძის ოფიციალური განცხადება, რომ იგი და ტელეკომპანიის მთელი კოლექტივი ტოვებს ტელეკომპანიას, რითაც ,,იმედმა", უკვე საკუთარი გადაწყვეტილებით შეწყვიტა მაუწყებლობა. და ეს, მაშინ, როდესაც საერთაშორისო დიპლომატიური წრეების ჩარევის შემდეგ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ დახურულმა ტელეკომპანიამ, მუშაობა, როგორც იქნა, განაახლა.

ახალგაზრდა ბიზნესმენის სიცოცხლე შეიწირა მისმა პოლიტიკურმა ამბიციებმა; იგი 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის რეალური კონკურენტი იყო.

ახალი წიგნები

ნინო ბარამიძის თარგმანთა ამ კრებულში წარმოდგენილი პოეტები სხვადასხვა დროის ქვეყნებსა და განსხვავებულ ენებს წარმოადგენდნენ, მაგრამ თარგმნის უცნაური ხელოვნების წყალობით ისინი ქართული პოეტური კულტურის წიაღში ერთიანდებიან, ფერს იცვლიან და განაგრძობენ სიცოცხლეს.

მთარგმნელის ინტერესების სფეროში შემოდიან ამერიკელი ეზრა პაუნდი, რუსი პოეტი კუზმინი, ანდრეი ბელი და მთლად ულტრათანამედროვე იან დარიუსი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მთარგმნელის ოსტატობა ძველი ბერძნული ჰიმნოგრაფიის თარგმნისას. როგორ ახერხებს ამას ნინო ბარამიძე?

ქართულ პოეტურ მეტყველებას რამდენიმე ნაკადი ასაზრდოვებდა: ხალხური, ურბანული, მწიგნობრული. ეს უკანასკნელი გასულ საუკუნეში ძველი პოეტური კულტურის ათვისების მეშვეობით თანდათანობით იძენდა ძალას. ეს პროცესი დღესაც გრძელდება უნივერსალურად მოაზროვნე პოეტებისა და მთარგმნელების ნაღვაწში.

ნინო ბარამიძე ორგანულად ფლობს და ნატიფი გემოვნებით იყენებს არქაული ენის მოდულაციებს არა როგორც მკვდარ, განსხვავებულ მასალას, არამედ როგორც ცოცხალ ნოვაციურ ელემენტს, რაც საშუალებას აძლევს მას თარგმანში სრულყოფილად აღადგინოს ათასი წლის წინანდელი რელიგიური ტექსტის ძალმოსილება.

თარგმანების ეს პოეტური კრებული შემოქმედებითი ძაბვისა და სიახლის სურნელით არის გაჟღენთილი.

თამაზ ჩხენკელი



აფხაზეთიდან დევნილი პოეტისა და სატირიკოსის მიხეილ ჩაჩუას მცირეფორმატიანი წიგნი სათაურით "მრისხანე ლექსები და სატირები" საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს ერთგვარი სარკაზმით ეხმიანება. საკუთარი წიგნის სათაური, როგორც თავად ავტორი მიხეილ ჩაჩუა გვამცნობს, ცნობილი პოეტისა და პროზაიკოსის აკაკი გელოვანისაგან უსესხებია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ 85 წლის ასაკში მყოფი მიხეილ ჩაჩუა კვლავ ჩვეული ენერგიითა და საღი გონიერებით აგრძელებს თავის შემოქმედებით საქმიანობას და ახალ-ახალი წიგნებით ამდიდრებს საკუთარ ბიბლიოთეკას.



მკითხველის სამსჯავროზე გამოვიდა პუბლიცისტის, პოეტისა და ჟურნალისტის თამაზ ფიფიას დოკუმენტური წიგნი "ცოდვის კალო სამეგრელოში", რომელიც ასახავს 1991-93 წლების სამხედრო _ კრიმინალური გადატრიალების მოვლენებსა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ წარმოებულ შეიარაღებულ ბრძოლებს აგენტურული ოპოზიციისა და შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების მხრიდან. 440-გვერდიან წიგნში უხვადაა წარმოდგენილი უზურპატორი შევარდნაძის მსხვერპლთა ფოტო-დოკუმენტაციები და თვითმხილველთა ჩვენებები.

წიგნის გამოცემა ავტორს ორ ნაწილად განუზრახავს და ვიმედოვნებთ, რომ ამ ისტორიულ-დოკუმენტური წიგნის მეორე ნაწილიც, ქართველი მეცენატების: გულიკო ხარჩილავას, რამინ გოგოხიასა და გიორგი ხარჩილავას დაფინანსებით მალე გამოიცემა.

დასაწყისი მე-20 გვ.

გაგრძელება მე-19 გვ.

ჩვენ ზემოთ სიამაყეს შევეხეთ და ეს გრძნობა ქართველი კაცისთვის ბუნებრივადაა დამახასიათებელი, რაც განპირობებულია გარკვეულ წილად მისი დიადი ისტორიული წარსულით.

ლაიბნიცი რომ მოვიხმოთ: "აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა" — წარსულში ჩვენ გვაქვს ქართველი მწერლობის შედევრი შ. რუსთაველის გენიალური "ვეფხისტყაოსანი", რომელშიც ნათლად ვლინდება ეროვნულ ხასიათის შემოქმედებითი ძალა და უნარი.

ეროვნულ ღირსებასთან მიმართებაში, ის, რომ — "მე ვარ ქართველი" სრულიად არ გვაძლევს უფლებას, დავივიწყოთ ჩვენი წარსული და მითუმეტეს არ ვიფიქროთ ერის მომავალზე, ისე, როგორც წმ. ილია მართალი გვმოძღვრავს:

"ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს."

დღეს არსებულ ვითარებაში რაში გამოიხატება და როგორ ჩანს XXI საუკუნის გარიჟრაჟზე ჩვვენი ერის მომავალი? დღეს, როდესაც საყოველთაოდ შემოდის და ფეხს იკიდებს ეროვნული ღირსების საწინააღმდეგო, უფლებაყრილი ერის სინდრომი?

უფრო ზუსტად კი მავანს და მავანს, სურს რომ ეს აზრი ქართველი კაცის ცნობიერებაში დალექოს; რომ ბრძოლის დრო აღარ არის, რომ უნდა შევეგუოთ არსებულ — ტერიტორიულ მთლიანობის დარღვევას, რომ ეროვნულობაზე, მით უმეტეს ეროვნულ ღირსებაზე ყურადღების გამახვილება და ლაპარაკი საჭირო არ არის, რომ უნდა ჩავწვდეთ ამერიკის სულს (უმჯობესი ხომ არ იქნებოდა პირველად ქართულს ჩავწვდომოდით), რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ერების საერთო უნიფიკაციისკენ მიილტვიან (საერთო ევროპული სახლი, ევროპიზაცია), ყოველივე ზემოთქმულის საწინააღმდეგოა. და როგორც აკ. ბაქრაძე აღნიშნავს: "ასე ხდება ყოველთვის, როცა ცნობიერება მთლიანად მორჩილდება ყოფიერების გამსაზღვრელ ძალას, იშლება საზოგადოება. იგი შინაგანად აღარ არის ერთიანი, თუმცა შესაძლებელია გარეგნულად ცდილობდეს კიდევაც თავი ერთიანად და მტკიცედ მოგაჩვენოს. ილუზია საქმეს ვერ უშველის და აღმოჩნდება, რომ პიროვნებაც გამქრალია." ჩვენ კი ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ეროვნული ცნობიერება, რომელიც თავის თავში ეროვნული ღისების გრძნობასაც შეიცავს, ამ დროს დადის ვიწრომერკანტიურ აზოვნებამდე, როდესაც გამქრალია როგორც პიროვნული, ასევე ეროვნული ღირსების იდუმალი შინაგანი ხმა. როდესაც ქართველი ახალგაზრდების, თუნდაც მისი მცირე გარკვეული ნაწილისათვის, დამახასიათებელია ინდიფერენტული დამოკიდებულება ეროვნული პრობლემებისადმი.

ჩვენ ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში შევეხეთ ილიასეული კრედოს მცნებებს "ენას" და "მამულს", რომლებზედაც დაშენებულია ქართული ეროვნული ხასისათი. ხოლო "სარწმუნოება" ჩვენი აზრით არის ზუსტად ის ციტადელი, რომელიც ქართველი ერის არსებობის მიზეზს წარმოადგენს. დიახ, სწორედ ქრისტიანული მართლმადიდებლური რწმენის მონაპოვარია, ქართველი ერის არსებობა, მისი მყოფადობა, კულტურა, ხელოვნება, მდიდარი სასულიერო მწერლობა და ბოლოს, ყოველივე ის, რაც დღემდის მოსდგამს ქართულ გენს, მის სულს და ეროვნულ ღირსებას, რომლის დამონება ვერ შესძლეს გარეშე დამპყრობლებმა, ქართული სახელმწიფოებრიობის მთელი მისი არსებობის მანძილზე.

რამ მოგვიყვანა დღეს ამ სავალალო მდგომარეობამდე, თუ არა ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან განდრეკვამ, მოყვასისადმი სიძულვილმა და ურთიერთ ქიშპობამ, რასაც ეროვნული ცნობიერებისა და ღირსების დევალვაციამდე, დაკარგვამდე, მივყავართ. რომლის დროს დუმილს და საკუთარი ცოდვების ჩაღრმავებას უნდა მივსდიოთ. რათა არ გამოვიდეთ იმ ფარისევლის როლში, რომლის შესახებ აკ. წერეთელი აღნიშნავს:

"უმეცრებამ სძლია ცოდნას,
დაიმონა კუჭმა გული!
ფარისევლის ლოცვა გახდა
"სამშობლო" და "სიყვარული" (აკ. წერეთელი "ბოდვა")

სამშობლოს სიყვარული ქართველებს ხშირად გვაერთიანებდა და ეს ერთიანობა შიშის ზარს სცემდა ჩვენს მტრებს და როდის მიაღწია ქართველი კაცის შეგრძნებაში ეროვნულმა ღირსებამ თავის მწვერვალს, თუ არა საქართველოს ისტორიის "ოქროს ხანაში" — დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალეს დროს. სწორედ დავით აღმაშენებელია ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი, როცა ეროვნულ ღირსებაზე ვმსჯელობთ. რადგან მან დაგვანახა ქართული გენის აღზევება, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობისთვის შეგვიძლია მივმართოთ. დღეს კი ჩვენი უახლესი წარსულიდან გამომდინარე კაენის ცოდვა საქართველოს თავს დასტრიალებს და იმის მაგივრად, რომ ჩვენ ქრისტესმიერი სიყვარულით გავერთიანებულიყავით და ეროვნული ენერგია მიგვემართა გარეშე მტრებისკენ, საკუთარ ძმაზე, მოყვასზე, აღვმართეთ ხელი.

აკ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძის "ბედნიერი ერის" მსგავსად, როდესაც ქართველის კაცის ნაკლზე საუბრობს, ქართველს შეაგონებს იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ განწმენდა, კათარზისი, ყველამ საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ — საკუთარი ცოდვების შეცდომების აღიარებით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში კი დუმილი ჯობს:

ჩუ ქართველო ბედნიერო,
ნუ ამბობ, "მამული მიყვარს!"
როგორ უნდა დაგიჯერო,
როს ძმის სისხლით ხელი გიყარს
მეორედ ჩუ! შენ, ძმის მტერო
"ქრისტიანი ვარ", ნუ ამბობ!
როგორ უნდა დაგიჯერო,
როცა ჭეშმარიტებას ჰგმობ?" და ა.შ.

ქრისტიანული რწმენა რომ არ არის ქართველისთვის ოდენ სარწმუნოება, საკუთარი განკერძოება, არამედ იგი თავის თავში მოიცავს ეროვნულობის მატარებელ იდეას, რომელიც გაიგივებულია ჭეშმარიტებასთან, ნათლად ჩანს ი. ჭავჭავაძის ლექსში: "ქართვლის დედას": "დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:

ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული"

და ბოლოს ეროვნული ცნობიერების და ეროვნული ღირსების თანამედროვე გაგებისათვის, წარსულში დაშვებული შეცდომების გაანალიზებაა საჭირო.

ქრისტიანული თვალთახედვით სინანული არასდროს არის გვიანი, ისტორია ხშირად მეორდება და როცა მამულის სიყვარულზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიფიქროთ თუ სად არის ჩვენი ერის სანატრელი გზა ხსნისა, მაგრამ ამასთანავე უპირველესად უნდა ვიყოთ გულწრფელი, როგორც საკუთარი სინდისის, ასევე ღმერთისა და ერის წინაშე. მოვუსმინოთ მღვდელმონოზონს ალექსი შუშანიას: ისმინეთ ძმანო საყვარელნო და გულისხმაყავთ ვითარმედ გზა ეგ რომელსა ზედა რბიან ფერხნი თქვენი ხსნად ერისა არა არს წრფელ, იუმედოა შესვლად აღთქმის ქვეყნად... რამეთუ სვეტი ნათლისა ე.ი. ნათელი ქრისტეს ღვთაების არ უძღვის თქვენს მგზავრობას სასწაულით განყვანებად ერის ზღვის მისგან მეწამულისად, ვინაითგან შინაგანი დაგიტოვებიესთ და გარეგანს მინდობილ ხართ. მოიგონეთ სიტყვანი ქრისტესნი: ორგულნო განსწმენდთ გარეშესა, ხოლო თქვენ შინაგან სავსე ხართ ნატაცებითა და არა წმიდებითა. ბრმათ განსწმიდე პირველად შინაგანი და რათა იყოს გარეშეც იგი მისი წმიდა. უამისოდ ყოვლად შეუძლებელია თავისუფლება... ისევ ეგვიპტე... ისევ ალიზი... დაგვრჩება ხელში."

მღვდელმონოზონი ალექსანდრე (შუშანია) დაიბადა 1852 წლის 23 სექტემბერს სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევში, 1888 წელს აღიკვეცა ბერად. ერთხანს ეწეოდა სალოსობას, ეხმარებოდა ღარიბ-გაჭირვებულთ და საშინელი სენით დაავადებულებს. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ათონის ივერიის, ხობის, გელთისა და თეკლათის მონასტრებში. 1892 წელს დაემკვიდრა თეკლათის მთავარანგელოზთა ზედა სავანეში, სადაც მოღვაწეობდა გარდაცვალებამდე. მამა ალექსი გარდაიცვალა 1922 წელს და დაკრძალულ იქნა თელათის დედათა მონასტერში. 1959 წელს. მისი ნეშტი გადმოსვენებულ იქნა მისსავე სავანეში.

ალექსი ბერი ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობასაც. მდიდარი და შინაარსიანია მისი მემკვიდრეობა. იგი იქცევს ყურადღებას ცხოვრების ცოდნით მრავალფეროვანი თემატიკით და მეცნიერული ერუდიციით; მამა ალექსის წერილები ზნეობრივ-ასკეტური სწავლებანი და ქადაგებები რამდენიმე წიგნადაა გამოცემული. იხ. "ჯვარი ვაზისა" საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა I 1985წ. თბილისი.

წმ. ილია მართლის ლაზარეს ტაძრის
მღვდელმსახური დეკანოზი დავით ხაჭაპურიძე.

ეროვნული ცნობიერების და ეროვნული ღირსების თანამედროვე გაგებისათვის

"თუ ხარ ქართველი ცეცხლს
შენობით ელაპარაკე"- მ. ფოცხიშვილი

"მე ვარ ქართველი" ძალუმად ჩამესმის წინაპართა ეს ხმა. რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები? არის მხოლოდ ჩემი ეროვნულობის გამომხატველი, თუ უფრო მეტის, რომელსაც ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. რით და როგორ მივაღწიეთ ჩვენ ამ ისტორიულ კატაკლიზმებში თავისთავადობის, თვითმყოფადობის, შენარჩუნებას, როცა გადაშენდნენ დიდი ერები და პირისაგან მიწისა აღიგავენ იმპერიები (აქ ბიზანტიის 1453წ. მაგალითიც კმარა)? — ალბათ ჩვენს გენში კოდირებული გადარჩენის სურვილით, ეროვნული ცნობიერების და ღირსების თვითშეგრძნებით, უფრო ზუსტად კი, იმ იდალისკენ სწრაფვით, ერის მამამ სულმნათმა ილიამ ლელთღუნიას პირით რომ გვიანდერძა: "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს".

ამ იდეის განსახორციელებლად და შესანარჩუნებლად ქართველი ერის ცნობიერებაში კრედოდ აისახა: "ენა", "მამული", "სარწმუნოება."

რის ფასად მოვაღწიეთ ჩვენ აქამდე? მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა ჰქონდა და შუა საუკუნეებში ერთგვარ ფორპოსტს წარმოადგენდა ევროპისა და აზიის საზღვარზე. რამ მოგვიყვანა ჩვენ დღევანდელ დღემდე? თუ არა ჩვენი წინაპრების წვეთ-წვეთად დაღვრილმა სისხლმა

"შენ —
სისხლო ჩემო — სად არ დაღვრილო...
სად არა გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, —
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი" (მუხრან მაჭავარიანი)

დიდგორი და შამქორი ქართული სულის აღზევება, აპოგეაა, სწორედ ბრძოლაში ვლინდებოდა ქართველი ერის უდრეკი დაუმარცხებელი ხასიათი:

"თავს არ მოიკლავს ქართველი არა
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს" (ლადო ასათიანი)

ქართველი ხატოვანი სიტყვაზმულობით გამოხატავს სიყვარულს საკუთარი სამშობლოსადმი. იშვიათად თუ მოიძებნება ერი, რომელსაც ისეთი კავშირი ჰქონდეს ორ სიტყვას შორის, როგორიცაა "დედა" და "ენა".

ი. გოგებაშვილის "დედაკენა" წარმოადგენს არა ოდენ ენობრივ კომპოზიტს, არამედ, ამასთანავე, ბუნებრივ სიმბიოზს, რომელიც ჰარმონიული დიდაქტიკური მოძღვრების ხელთუქმნელი გვირგვინია, რომლის ძალა, პირველყოვლისა, მის უშუალობასა და ბუნებრიობაში მდგომარეობს.

ან გ. ლეონიძის ლექსი "დედა ენა" ნათელი გამოხატულება არ არის ქართული ენის ლაკონურობისა, მისი სისადავისა, რომელსაც სიყრმიდანვე შეისისხლხორცებს ქართველი: "ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!"

ჩვენ წინაპართა ხმაზე ვლაპარაკობდით, დიახ, ის უკვე ჩაგვესმის ქართული ენისადმი აღვლენილი ხოტბით: "ო, ენავ ჩემო
დედაო ენავ,
შენ ჩემო ნიჭო
სრბოლავ და ფრენავ (ირ. აბაშიძე)

და ბოლოს, ქართული ენის მწვერვალს მის აპოთეოზს არ წარმოადგენს იოანე ზოსიმეს "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"; დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად რაჲთა ყოველსა ენას ღმრეთმან ამხილოს ამით ენითა". აღნიშნული ძეგლი ღრმა თეოლოგიურ, ქრისტიანულ ცოდნას შეიცავს და ქართველი ერის, როგორც ასეთის ქართული ეთნოსის კულტურულ-ისტორიული მისიის მანიშნებელია.

მამულისადმი ზვარაკად შეწირვა, მხოლოდ განწირული სულისკვეთებით როდი იყო ნასაზრდოები, არამედ ქართველი, როგორც შთამომავალი ისეთი დიდი ხელოვანი წინაპრებისა: დემტრე II თავდადებულისა, ასი ათასი მოწამისა, თევდორე მღვდლისა, ლუარსაბ მეფისა, ქეთევან დედოფლისა... და... ა.შ. უბადლო თავდადების მაგალითზე შეგნებულად დგამდა ამ ნაბიჯს.

დღევანდელი გადასახედიდან ჩვენი დროის თანამედროვე პოეტი, კიდევ ერთხელ შეგვაგონებს წმ. ქეთევან დედოფლის ბაგეთაგან წარმოთქმულ სიტყვებს — არასოდეს!

"რვალის ქვაბი" მოეთრია ქონდაქარსა,
ცეცხლს აგზნებდა კაცთა გრძნობის ქონდაქარი
ზე მიჰქონდა ღრუბლისაკენ, ცეცხლი ქარსა,
ქროდა ქარი...
თეთრი ხელი გულზე ედო დედოფალსა,
ტინად იდგა დედოფალი...
თმა დაშლოდა თავი ნაზად დაეხარა
სიკვდილის წინ ქართლის ვარდად გაეხარა...
ლოცულობდა...
როს ჩამოსწყდა ბაგეთ მისთა:
— არასოდეს! (ანა კალანდაძე "ქეთევან დედოფალი")

როდესაც ეროვნულ ღირსებას ვეხებით არ შეიძლება არ შევეხოთ ქართველი ქალის ღირსებას, განა ჩვენში ბრძოლის დროს დამკვიდრებული მანდილის ჩაგდების ფენომენი ოდენ ტრადიციას არ წარმოადგენს და არ მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ პატივს სცემენ ქართველი ქალის ღირსებას, პატიოსნებას, კდემამოსილებას მის სილამაზეს, რომლის გამო მრავალი დატყვევებულა და მრავალი მწერლისა, თუ პოეტის შთაგონების წყარო ყოფილა? ჩვენთვის უფრო მეტად საინტერესოა მოვიყვანოთ უცხოელი ავტორები და საკმარისია მოვიხმოთ ორი ისეთი ავტორიტეტის ჩანაწერები, როგორიცაა: ფრანგი მწერალი რომანისტი და დრამატურგი ა. დიუმა — მამა (1803-1870). ამ შემთხვევაში, როგორც მოგზაური (საქართველოში 1858-1859წწ იმყოფებოდა) ერთობ საინტერესო წიგნის "კავკასიის" ავტორი და XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1643-1713) რომელსაც საქართველოში 1672-1673წწ. უმოგზაურია. ის თავის მოგზაურობაში წერს: "ქართველბის ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემიძლია ვთქვა მთელ ქვეყანაზედაც. აქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვდა. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთ სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ისეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრათ აქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ, ხოლო ა. დიუმა როდესაც ერთმანეთს ადარებს ჩერქეზ და ქართველ ქალს ის უპირატესობას ქართველ ქალს ანიჭებს.

— "მე ვარ ქართველი", დღევანდელ ვითარებაში ეს სიტყვები ხომ უფრო მეტ აქტუალობას იძენს რაოდენ თანამედროვედ ჟღერს დიდი მგოსნის აკ. წერეთლის სიტყვები, რომელმაც ვერ აიტანა ახალი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის ეროვნული პრობლემებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება:

"მტერი იძახის ვინ გაიგონა
ახლანდელ დროში ეროვნებაო?"

აკ. წერეთლისთვის პრიმატი ქართველია, თავისი არსით, ცნობიერებით ეროვნული იდეოლოგიით, ეროვნული ღირსებით, ეროვნული თავისუფლებით,

"ყველაზე პირველ მე ქართველი ვარ
მერე თუ გინდა, სხვა გვარი ისტი.
სხვისი თვალითაც არ ვიყურები
არ გადამკვრია ჩემსაზე ბისტი."

როდესაც ქართველის ეროვნულ ღირსებაზე ვლაპარაკობთ, აქ გასათვალისწინებელია მთავარი ნიუანსი; ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი ისეთი შტრიხები, როგორიცაა: სიამაყე, უსამართლობისადმი შეურიგებლობა, სამშობლოს სიყვარული:

"არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!" (რაფიელ ერისთავი)

სამშობლოს სიყვარული უცხოეთში ყოფნისას, მეტად მძაფრდება ქართველ კაცში და გამოხატულებას პოულობს ნოსტალგიაში. სევდა, გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის, მეტად სპეციფიკურია სხვა ერებთან შედარებით. აქ როგორ არ გავიხსენოთ მიხეილ ქვლივიძის ლექსი, რომელიც ქართველი კაცის, ტრაგიკულ ბედს გვიხატავს უცხო მხარეში:

"მაშ შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტრები რუსთაველს
არ გაქცევია სამშობლოდან სულთამხუთავებს
და რომ მარტოდენ უიმედო ტრფობის ბრალია
თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული დალია...
იქნებ ტრფიალმა გადახვეწა ყველა მელექსე
თეიმურაზი,
არჩილ მეფე,
ვახტანგ მეექვსე,
საბა სულხანი გამოეწყო ბერის კაბაში,
ძვალთშესალაგი დაუკარგა ბესიკ
გაბაშვილს... "

გაგრძელება მე19 გვ.

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

რედაქტორი ლეილა ცომაია
გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55